საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 23 მაისი. 2017 წ. №103 (8240), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

აიდა, ზალბერ, აიდა ძალლისშვილო, ეს რამ გათქმევინა, შე კაცო?!

3

ზალბერი ქართული სახელმწიფოს მხრიდან, ტაქტიანად, ზედმეტი რახარუხის გარეშე, მაგრამ პრინციპული, დაბეჯითებითი მოთხოვნა-რეკომენდაციით უცილობლივ(!), ვადაზე ადრე(!), ანუ მისი მანდატის დასრულებამდე (15.07.2017), უნდა ჩამოშორდეს თანამდებობას.

არამზადების გალერეა

ნაცკასცენა

4

ულვაშიანი ქურდი ქათამი!

„საქართველოში მცირე ბუნებრივი მატება არაქართველი მოსახლეობის ხარჯზე ხდება“

6



8

„ს ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრი“ საქართველოს წინააღმდეგ იქნება მიმართული

სპეცსამსახურების საიდუმლოებანი

მკვლელობის იარაღები – ცხვირსახოცი, ქოლგა, კალამი...

9

ირაკლი კობახიძე:

2

ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა ჩვენ შევიმუშაოთ დახვეწილი კონსტიტუციური კანონი

მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვის გაცემის წესი და პირობები იცვლება

6

უკრაინის მოქალაქეებისთვის ვიზალიბერალიზაცია 10 ივნისიდან ამოქმედდება

უკრაინის მოქალაქეებისათვის შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა 10 ივნისიდან ამოქმედდება. ამის შესახებ ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში აქვეყნებენ. გადაწყვეტილება ძალაში ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან 20 დღეში შევა. შესაბამისად, 11 ივნისიდან უკრაინის მოქალაქეები, რომლებსაც ბიომეტრიული პასპორტი აქვთ, ევროკავშირის ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გარდა) არაუმეტეს 90 დღის ვადით, ექვსი თვის განმავლობაში უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ. უკრაინასა და შენგენის ზონის ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმი ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში დოკუმენტის გამოქვეყნებიდან 20 დღეში ამოქმედდება. მანამდე, უკრაინის პრემიერმა განაცხადა, რომ მოქალაქეებს ევროპაში უვიზოდ მოგზაურობა 11 ივნისიდან შეეძლებათ.

მაკკეინი: ლავროვი პუტინის მარიონეტია

ჯონ მაკკეინის რუსეთის ხელისუფლება შემოელანძღა. რესპუბლიკელი სენატორის თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ბანდიტისა და მკვლელის, ვლადიმერ პუტინის მარიონეტი და პროპაგანდისტია, რომელსაც ოვალურ კაბინეტში არაფერი ესაქმებოდა. ამ განცხადებით მაკკეინი ვაშინგტონში ლავროვის ვიზიტს გამოეხმაურა. სერგეი ლავროვი დონალდ ტრამპმა ოვალურ კაბინეტში მიიღო.



თურქეთში გენერლებს ასამართლებენ

თურქეთში გახმაურებული სასამართლო პროცესი დაიწყო. მართლმსაჯულების წინააღმდეგ 221 განსასჯელი წარსდგება. მათ ბრალად 15 ივლისის არშემდგარ სამხედრო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობა ედებათ. განსასჯელთა შორის 24 გენერალი, 26 პოლკოვნიკი და 37 სამხედრო ოფიცერია. 200-მდე განსასჯელი ამ დრომდე პატიმრობაში იმყოფება, 9-ს ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილი აქვს დაწერილი, 12 კი მიმალვაშია.

პავაიზე ვულკანმა გაიღვიძა

ჰავაის კუნძულზე ვულკანი კილაუე ისევ გააქტიურდა. კრატერიდან ლავა რამდენიმე დღეა, იფრქვევა. ტურისტებს სტიქიური საფრთხის ზონაში გადაადგილება აეკრძალათ. ამერიკის გეოლოგიური სამსახურის განმარტებით, ვულკანი დასახლებულ რაიონებს საფრთხეს ჯერჯერობით არ უქმნის.

პალერმოში ცნობილი მაფიოზი მოკლეს

პალერმოში სიცილიური მაფიის ერთ-ერთი ბოსი მოკლეს. 67 წლის ჯუზეპე დაინოტის ქუჩაში ველოსიპედით სეირნობისას ესროლეს. ჭრილობა მას თავის არეში აქვს მიყენებული. დაინოტი 1991 წელს პალერმოს ბანკის გაძარცვის ბრალდებით დააპატიმრეს. ციხეში მან 25 წელი გაატარა.

იემენში ქოლერით 250 ადამიანი დაიღუპა

იემენი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე დგას. ქოლერის ეპიდემიამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში 250-მდე ადამიანი იმსხვერპლა. ყოველდღიურად კი მწვავე ინფექციური ვირუსით ასობით ადამიანი ინფიცირდება. საერთაშორისო ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“ მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებს იემენის ჰუმანიტარული დახმარებისკენ მოუწოდებს.

ირაკლი კობახიძე: ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა ჩვენ შევიმუშაოთ დახვეწილი კონსტიტუციური კანონი

— განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ბერლინში გამართულ კონფერენციაზე. მისი თქმით, გამართული კონსტიტუციის მისაღებად აუცილებელია ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობა. მან ევროპელ კოლეგებს მადლობა გადაუხადა.

„მადლობა გერმანელ მეგობრებს, პარტნიორებს ღონისძიების ორგანიზებისთვის. მნიშვნელოვანია, როდესაც საკითხი ეხება საქართველოს კონსტიტუციას იმართება ასეთი სახის შეხვედრა. ვენეციის კომისიის თანამშრომლობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ ჩვენ შევიმუშაოთ დახვეწილი კონსტიტუციური კანონი“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ. პარლამენტის სპიკერმა წარსული გამოცდილებაც გაიხსენა და განაცხადა, რომ ახლა ყალიბდება კონსტიტუცია, რომელიც მოსახლეობას განვითარების საშუალებას მისცემს.

„როგორი არასტაბილურიც იყო გასული 20 წლის განმავლობაში ჩვენი კონსტიტუცია, ისეთი არასტაბილური სახით წარიმართა სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური პროცესები. ჩვენი ამოცანაა, ჩამოვაყალიბოთ მყარი დოკუმენტი და მყარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გრძელვადიან განვითარებას. როდესაც დაიწყო პროცესი და პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, პარლამენტმა კომისიას დაუსახა სამი ძირითადი ამოცანა, პირველი ეს იყო კონსტიტუციის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა კონსტიტუციური სამართლის პრინციპებთან“, — დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ.

თეა წულუკიანმა აშშ-ის დელეგაცია მიიღო

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე სკოტ ბასბის შეხვდა. **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაციასთან შეხვედრას, რომელსაც ბასბი ხელმძღვანელობდა, იუსტიციის მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე ბარამიძე და გოჩა ლორთქიფანიძე, აგრეთვე, აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი ესწრებოდნენ.**

იუსტიციის მინისტრმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაციას საქართველოში სამართლებრივ სფეროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო. საუბარი შეეხო ღია მმართველობის პარტნიორობის კუთხით ქვეყნის მიღწევებს, სასამართლოს სისტემის რეფორმის მესამე ტალღას, სპეციალიზებული კომერციული კოლეგიების/პალატების შექმნის საკითხს, რაც ბიზნესის საჭიროებაზე იქნება ორიენტირებული და საგადასახადო და ბიზნესდავებს სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტს. თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ „ღია მმართველობა — საქართველოს“ ფორუმი მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის მუდმივმოქმედი მექანიზმია და პარტნიორობის მიერ საუკეთესო პრაქტიკადაა მიჩნეული, რაც საშულებას იძლევა, ღია მმართველობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საზოგადოების ყველაზე ფართო ფენების ჩართულობით შემუშავდეს.

თბილისის მერი აუდიტის სამსახურის განცხადებებს აფასებს

თბილისის მერი დავით ნარმანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსის განცხადებებს ეხმაურება. **საქმე ეხება ოთარ ფარცხალაძისათვის მიწების გადაცემის საკითხს.**

მისი თქმით, უფრო ვრცელ კომენტარს მაშინ გააკეთებს, როდესაც ანგარიში გამოქვეყნდება. დავით ნარმანიამ ასევე განაცხადა, რომ მერია გადაწყვეტილების მიღებისას ექსპერტების შეფასებებს დაეყრდნო, ხოლო განცხადებები იმაზე, რომ მერიამ აუდიტის სამსახურს დოკუმენტაცია დაუმალა, ტყუილია.

„ეს არის ტყუილი. ნებისმიერი დოკუმენტაცია, რაც ქალაქის მერიაში ინახება, არის შემმოწმებლებისთვის ღია, ასე რომ, ყველანაირი დოკუმენტაცია, რაც ჩვენ ხელთ გვქონდა, მივეცით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებს. შეფასება გაკეთებულია ექსპერტების მიერ, ასე რომ თბილისის მერია დაეყრდნო ამ შეფასებას,“ — განაცხადა დავით ნარმანიამ.

შეიძლება ნარმანიამ თანამდებობა შეიცვალოს

დედაქალაქის მერი ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, **რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მისი კანდიდატურაც განიხილება. მისი თქმით, მმართველ გუნდში ამ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს.**

ამ ეტაპზე აუდიტის სამსახურის უფროსის თანამდებობა ლაშა თორდიას უკავია, თუმცა მისი უფლებამოსილების ვადა იწურება.

საქართველო ევროჯასტთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას გააფორმებს

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე ევროკავშირის იუსტიციის ერთიანი სისტემა ევროჯასტის ექსპერტებს შეხვდა. **ალექსანდრე ბარამიძემ დელეგაციის წევრებს მადლობა გადაუხადა საქართველოსთან აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგითაა გათვალისწინებული. ალექსანდრე ბარამიძის თქმით, საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის გააქტიურება კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ საქართველოს იუსტიციის სისტემა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს, შექმნას ევროკავშირთან რეგულაციების ერთიანი სივრცე და მხარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების მექანიზმები კიდევ უფრო დაიხვეწოს.**

იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ იმედი გამოთქვა, რომ წარმატებული თანამშრომლობა საქართველოსა და ევროჯასტს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდება. შეხვედრას ასევე საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე და მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ესწრებოდნენ.

ევროჯასტი (Eurojust) იუსტიციის სფეროში ევროკავშირის ქვეყნების თანამშრომლობის ორგანოა, რომლის ძირითადი დანიშნულება სისხლის სამართლის საქმეებზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების საქმიანობის კოორდინაციაა, მათ შორის, ევროკავშირის არაწევრ, ევროინტეგრაციის პროცესში მყოფ პარტნიორ სახელმწიფოებთან. მასთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებას ქართული მხარე რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდა. საბოლოო გადაწყვეტილება 2015 წელს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანისა და ევროჯასტის პრეზიდენტ მიშელ კონინქსთან შეხვედრისას იქნა მიღებული. ევროკავშირის იუსტიციის ერთიან ორგანოსთან ხელშეკრულების გაფორმება ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა მჭიდრო კავშირში იქნება ევროპის მართლმსაჯულების სისტემასთან; ქართველი მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები და სამართლის სისტემის სხვა წარმომადგენლები საკუთარ საქმიანობას განახორციელებენ ევროპული მაღალი სტანდარტის შესაბამისად და ითანამშრომლებენ ევროპელ კოლეგებთან ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

◎ რეპლიკა

ბარემ რუსთაველიც ვადღეგრძელოთო?



2017 წლის 18 მაისს მთავრობის სხდომაზე ბატონმა პრემიერ-მინისტრმა ბრძანა: **„ჩვენ წელს დამოუკიდებლობის დღესთან ერთად ვზეიმობთ შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს და, უნდა ვთქვა, რომ ამ დღესასწაულის განმავლობაში ძირითადი თემატიკა იქნება დაკავშირებული „ვეფხისტყაოსანთან“, რაც, ვფიქრობთ, რომ არის ძალიან კარგი ჩვენი ზეიმისთვის ახალი ელფერის შესაძენად, ჩვენი ქვეყნის წარმოსაჩენად“** („ქრონიკა“, 18-05-2017 წ. 14 სთ.)... საოცარია: შ. რუსთაველის 850 წლის იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე... არც საიუბილეო კომისია, არც საიუბილეო ღონისძიებები... არადა რუსთაველის წლად 2016 წელი იყო გამოცხადებული; გვპირდებოდნენ, იუნესკოსაც მიმართავდნენ შუამდგომლობით, მაგრამ იუნესკომდე ვერ მივაღწიეთ... რომ არა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, გასული წელი ისევე ჩაივლიდა რუსთაველის გარეშე, როგორც 2015 წელმა ჩაიარა აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის გარეშე... 2016 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ბატონმა **გიორგი კვირიკაშვილმა** ბრძანა: **წლევანდელი წელი რუსთაველის წელი იყო, მაგრამ არჩევნებმა შეგვიშალა ხელი და ვერ აღვნიშნეთო...** არ ვხუმრობ, ნამდვილად ასე ბრძანა პრემიერ-მინისტრმა... და ახლა გადაწყდა, რომ რუსთაველი კარგი საშუალება არის მოახლოებული **„ზეიმისთვის ახალი ელფერის შესაძენად“...**

ჰო, არ დამავიწყდეს: რა ღონისძიებანი იგეგმება 26 მაისისთვის შოთა რუსთაველის გასახსენებლად, ამის თაობაზე 18 მაისის მთავრობის სხდომაზე კულტურის მინისტრმა ბ-ნმა **მ. გიორგაძემ** ბრძანა: 26 მაისს **„სხვადასხვა საკონცერტო ღონისძიება იქნება, მაგალითისთვის დათო ევგენიძის ბენდი“ „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაზე ვარიაციები... იმღერებს რუსთაველის ანსამბლი** (ანსამბლი „რუსთავი“ იგულისხმება? - **გ.ბ.**)... **საგალობლები... მსახიობები წაიკითხავენ „ვეფხისტყაოსანს“, საჯარო კითხვა იქნება... ჩვენს მოქალაქეებს ექნებათ საშუალება, ჩაერთონ ამ პროცესში“** („ქრონიკა“, 18-05- 2017 წ. 14 სთ.)... სხვა სატელევიზიო არხებზე რა ითქვა, არ მიმიდევნებია თვალი (ითქვა კი საერთოდ რამე?)...

მოკლედ, შოთა რუსთაველთან დაკავშირებით 2017 წლის 18 მაისის მთავრობის გადაწყვეტილება ამას ჰგავს: სადღესასწაულო სუფრა მაინც გაშლილია და ბარემ რუსთაველიც ვადღეგრძელოთო... კეთილი, ასე იყოს: გაუმარჯოს შოთა რუსთაველს და მის პოემას!..

გიორგი გოგოლაშვილი,
რუსთაველის საზოგადოების ენისა და ლიტერატურის კომიტეტის თავმჯდომარე

აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო

საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, **აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი ზაკირ ჰასანოვი გმირთა მოედანზე იმყოფებოდა. მან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული ქართველი გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მათ ხსოვნას.**

აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრთან ერთად საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია იმყოფებოდა. ეროვნული გვარდიის სამხედრო ორკესტრის მიერ აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები შესრულდა. აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრს საქართველოში ქართველი კოლეგა ლევან იზორია მასპინძლობს. გენერალ-პოლკოვნიკი ზაკირ ჰასანოვი უკვე იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის უწყებაში და დელეგაციის წევრებთან ერთად ქართულ მხარესთან შეხვედრა გამართა.

აიდა, ზალბერ, აიდა ძაღლისშვილო, ეს რამ გათქმევინა, შე კაცო?!

ცნობილი ფაქტია: როცა გენიოს პუშკინს ერთი საკუთარი ლექსი გადაუკითხავს, თურმე აღტაცებით (!) წამოუძახებია: აიდა, პუშკინ, აიდა შე ძაღლისშვილო, ასე კარგად რამ დაგაწერინაო!...

ისიც ცნობილი ფაქტია, როცა თავისი „გამზრდელი“ სხვისი ხმით წაკითხული მოუსმენია, საქართველოს განუმეორებელ ბულბულს, ჩვენს დიდ აკაკისაც თვალზე ცრემლმორეულს უთქვამს: ეს, მართლაც, კარგი რამ დამიწერიაო...

ეს ორივე ამბავი ყოველთვის მახსოვს, მაგრამ როცა ერთი მეტისმეტად გულსატკენი ამბავი გავიგე, ცხელ გულზე, სწორედ პუშკინის შეძახილი არამცთუ გამახსენდა, არამედ ხმამაღლა „წამომცდა“, ოღონდ... ადეკვატური ტონალობით და ისეთი შეფასებით, რომელიც აღტაცებისგან დიამეტრულად განსხვავდებოდა: „აიდა, ზალბერ, ეს რამ გათქმევინა და გაგაკეთებინა, შე მართლა „ძაღლისშვილო!?“

აბა, იმავეს არ შესძახებდა საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, როცა გაიგებდა, რომ 16 მაისს ევროკავშირის წარმომადგენელმა ზალბერმა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ახალ ლიდერს ანატოლი ბიბილოვს 9 აპრილს გამართულ „საპრეზიდენტო“ არჩევნებში გამარჯვება მიულოცა: **„ნება მოგეცით, ... გამარჯვება მოგილოცოთ და ასევე მოგილოცოთ ამ თანამდებობის, ამ მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავება.“**

აბა, თავს როგორ შეიკავებდა ნორმალური, პრობლემაში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანი, რომელმაც იცის: ევროკავშირმა, ერთ-ერთმა პირველმა, გამოხატა თავისი უარყოფითი პოზიცია ამ მოვლენისადმი და ის რუსეთის პროვოკაციად შეაფასა, მერე ისიც კატეგორიულად განაცხადა, რომ არ აღიარებს მის შედეგებს. ყოველივე ამის შემდეგ, ევროკავშირის სპეცწარმომადგენლის მანდატის მფლობელი, გერმანელი დიპლომატი ბატონი ზალბერი კი... სრულიად საწინააღმდეგოს აკეთებს: ამ არაღიარება-არცნობის უშუალო სუბიექტს გამარჯვებასაც ულოცავს და თანამდებობის დაკავებასაც.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით დონდუამ, ევროკავშირის ელჩთან იანოშ ჰერმანთან შეხვედრაზე, ზალბერის ეს „წამოყრანტალება“ შეაფასა მიუღებელად და გაუგებრად, საერთაშორისო სამართლის პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებად და გამოთქვა იმედი, რომ „ბრიუსელში“ სათანადოდ შეაფასებენ საკუთარი წარმომადგენლის საქციელს.

ცოდვა გამხელილი ჯობს: არა ევროკავშირის ელჩის ჰერმანის საგანგებო, მკაფიო პროევროპული განცხადება, ვიფიქრებდი, რომ ჩვენდამი დამოკიდებულებაში კვლავ განმეორდა ორმაგი სტანდარტის არცთუ იშვიათი გამოვლინება და ზალბერმა ნებსით თუ უნებლიეთ ეს უგვანო „თამაში გაშიფრა“. საბედნიეროდ, ამჯერად ჩვენი ეჭვი არ გამართლდა.

ერთი სიტყვით, ეს ზალბერი მიიწვიეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მან განაცხადა, რომ ის იზიარებს და განახორციელებს ევროკავშირის პოზიციას, ხოლო თავისი გამონათქვამი და საქციელი ახსნა ჩვეულებრივი დიპლომატიური „ზრდილობიანობითა“ და „ეტიკეტით“. ამ ახსნა-განმარტებით, მისი აზრით „ინციდენტი“ ამოიწურა.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენმა საგარეო უწყებამ, მორცხვად და კმაყოფილმა დახარა თავი. და როგორც ძველად იტყოდნენ... კრება დარჩა მხიარული.

მაგრამ საზოგადოება სრულებითაც არ ფიქრობს ასე. და არ თვლის ე.წ. ინციდენტს ამოწურულად.

ზალბერის მოქმედება თავისი საჯარო თუ კულუარული განცხადებით, უბრალოდ, ღიმილის მომგვრელია. ისევე, როგორც ჩვენი საგარეო სამინისტროს ჯერ ბაქიბუქი რიტორიკა („დავიბარებთ და პასუხს მოვთხოვთ“), მერე კი ერთობ მორიდებული, ერთობ ფრთხილი (არიქა, „ვინმე“ იქ, ევროპულ სტრუქტურებში, არ გავაღიზიანოთო) ე.წ. პოზიცია... ასე, უკაცრავად ნათქვამია, ვგონებ, სირაქლემები იქცევიან.

აბა, ვინმე სხვას „ჩაედინა“ ეს, მაგალითად... კარასინს! ხომ გვახსოს პრაღაში, „რაღაც“ ჩვენი მოსაწონი ვერ თქვა და, ის კი არა, კინაღამ ზურაბ აბაშიძე გავაკარით ჯვარს. ანდა, აგერ, ამ რამდენიმე დღის წინათ... ლუქაოვი გამოვაცხადეთ „პერსონა ნონ გრატა“. მან რა, ამ უბვინობაზე მეტი რამე თქვა ან ქნა? ანდა, იმ „უხსენებელი“ ბაიკერების თემა გავიხსენოთ, რა ბრახაბრუხი აატყდა მაშინ...

სულ ცოტა, უხერხულად მაინც არ გრძნობენ თავს ბატონი დონდუა, ანდა, ის პოლიტიკოსები, დეპუტატები, მაღალჩინოსნები, გულზე ხელის ბრაგუნით რომ გაიჯეჯილეს ტელეეკრანებზე. რამდენიმე დღეა დამაფიქრებელი დუმილი, „არსაიდან ხმა, არცთუ ძახილი“... ეჰ, ბატონებო, მაგრად კი შეჩვეულხართ... გადაყლაპვას! ბრავო!

ჰოდა, ახლა დადექით და უსმინეთ ჭიაბერაშვილებს, სამადაშვილებს: რა, ვერ იგუყვიან „მნარედ“, არ გიწოდებენ „უნიათოებს“, პერსონალურ სამიზნეებს ააცდენენ, დროს ვერ შეარჩევენ თუ ბელეეკრანს დაუკავებს ვინმე?!

საზოგადოების ვერდიქტია ის, რომ ბატონი ზალბერი ქართული სახელმწიფოს მხრიდან, ტაქტიანად, ზედმეტი რახარუხის გარეშე, მაგრამ პრინციპული, დაბეჯითებითი მოთხოვნა-რეკომენდაციით უცილობლივ (!), ვადაზე ადრე (!), ანუ მისი მანდატის დასრულებამდე (15.07.2017), უნდა ჩამოშორდეს იმ პროცესს, რომელსაც იგი „აკვირდება“, „აფასებს“ და რომლის მიზნობრივად და მშვიდობიანად დამთავრებისთვის უნდა იძლეოდეს კომპეტენტურ და ობიექტურ „რეკომენდაციებს“, როგორც ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისების საკითხებში. ეს მაგალითი იქნება სხვებისთვისაც, ვისაც არ უნდა გაისიგრძეგანოს ჩვენი ღრმა წუხილი და იმედი. ეს ჩვენი საზოგადოების ერთობ მრავალრიცხოვანი და ობიექტური ნაწილის პრინციპული აზრია და მოლოდინი.

ახლა მეც მომისმინეთ:

ბატონი ზალბერი არ გახლავთ დამწყები, ახალბედა, გამოუცდელი დიპლომატი. სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს კრიზისში (ისევე, როგორც სხვა „ცხელ წერტილებში“) ევროკავშირის სპეცწარმომადგენლის პასუხსაგებ მისიებს მხოლოდ გამობრძმედილებს ანდობენ. მით უმეტეს, ჟენევის ფორმატში მიმდინარე დისკუსიების თანათავმჯდომარეობას. აქსიომაა ის, რომ ასეთ დიპლომატებს „ენაზე კბილის დაჭერა“ სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი. და აბსოლუტურად გამორიცხულია, რაიმეს გაუთვალისწინებელი „წამოცდენა“, ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებითაც კი.

ჩემს ამ პირად მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ არც საჯაროდ და არც კულუარულად, ქართულ მხარესთან, რა თქმა უნდა, მას ბოდიში არ მოუხდია და არც მოიხდის, რამეთუ ეს მისი, როგორც დიპლომატის „თვითმკვლელობის“ , ანუ, პრაქტიკულად, საერთაშორისო ასპარეზზე მისი კარიერის დასასრულის ტოლფასია.

და თუ გავითვალისწინებთ მის ადრინდელ (!!!) განცხადებებს, ისევე, როგორც ამ სკანდალურ შეხვედრაზე წინწამოწეულ თემას „ძალის არგამოყენების“ ვალდებულებების და მისგან გამომდინარე შესაბამისი დოკუმენტის შექმნა-ხელმოწერის აუცილებლობის შესახებ (გავიხსენოთ, ჩრდილო მეზობლის უპირველესი მოთხოვნა), ცხადზე ცხადია: „რაღაცას“ გვაჩვევენ!!! „რაღაცისკენ“ მივყავართ!!! და ცხინვალში, ჟენევის ფორმატში შეხვედრების ყველა თანათავმჯდომარის თანდასწრებით „მილოცვის სცენის“ სპონტანურობა, დიახაც, უნდა გამოირიცხოს. ასე რომ, ზალბერის ე.წ. განმარტება, განცხადება, ისევე, როგორც „ლუღლუღი“ დიპლომატიური „ეტიკეტის“ და „ზრდილობიანობის“ შესახებ, ან მიამიტი თინეიჯერებისთვის არის განკუთვნილი, ან იმათთვის, ვისაც უნდა „თავი მოიტყუოს“. როგორც ჩანს, ამ სპეცწარმომადგენელს ასეთები ეგულება ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სხვა სამთავრობო სტრუქტურებსა და, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაშიც...

უახლოესი წარსულის გამოცდილება მას და მისნაირებს, ეტყობა, რაღაც იმედს აძლევს. აი, თუნდაც ასეთი მაგალითი – ახლახან ვიზიტად ჩამოსული და მეტისმეტად თბილად მიღებული უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანისა, როგორ იქცეოდა 2012 წლის საარჩევნო პროცესის დროს. ის მაშინაც პრემიერი გახლდათ, მაგრამ წინასაარჩევნო თავხედური ვოიაჟით, მიტინგებზე გამოსვლებით და, შემდგომ, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ამომრჩევლების საჯარო „დატუქსვით“, მას ვერ განასხვავებდით „ნაციონალური მოძრაობის“ ჩვეულებრივი აგიტატორიდან. მისი მოქმედება გახლდათ შეუნიღბავი, ყოვლად ზღვარგადასული ჩარევა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში. არცერთ მაღალჩინოსანს და პოლიტიკოსს არ მოსვლია მაშინ აზრად, გამოეთქვა საჯარო პროტესტი.

სხვათაშორის, საგარეო საქმეთა სამინისტროში დღესაც მუშაობენ „ძველი გამოცდილი და შეუცვლელი კადრები“, მათ შორის წამყვან თანამდებობებზე, რომლებიც ვერ დაიტრაბახებენ მაშინდელი „აღშფოთებით“. არც ამ სამარცხვინო მოვლენის შემდეგ მოსულ „ოცნებისტთა“ კოჰორტას მოუკლავს თავი ქვეყნის ავტორიტეტის დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ მედიამ ცალსახად მიანიშნა მსგავსი ნაბიჯის აუცილებლობაზე. მაგრამ, არჩევნებზე „ქართული ოცნების“ გამარჯვების ეიფორია იმდენად დიდი იყო, რომ საგარეო უწყების ახლადგამოჩეკილ უფროსობას, ამბიციურ „ოჯახურ კლანს“, რომელსაც ნამეტნავად გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ გამოცდილებასა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა – ქალამნად.

მაშინაც, ამ შემთხვევის გამო ვწერდით და დღესაც ხაზგასმით გავიმეორებთ: **ზოგიერთ ჩვენს დიპლომატს შეიძლება დაჩლუნგებული ჰქონდეს საკუთარი ღირსების გრძნობა (და ეს მათი პრობლემაა), მაგრამ, როცა საქმე ქვეყნის ღირსებას ეხება, ნურას უკაცრავად!**

დიპლომატს თუ პოლიტიკოსს იმის თავი თუ არ გაქვს, საერთაშორისო არენაზე მიღებული (!) დიპლომატიური პრაქტიკის და წესების გათვალისწინებით პასუხი გასცე სპეცწარმომადგენლის თუ კიდევ „რაღაც მანტიაში“ გახვეულ თავხედს, ვისი მანდატითაც არ უნდა მოქმედებდეს იგი, ქუდი უნდა დაიხურო და გაეცალო ასპარეზს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა შენზე ზემდგომები შეურაცხყოფის „გადაყლაპვას გავალებენ“!..

ქართული დიპლომატიის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი მსგავსი ვაჟკაცური პრეცედენტი. გაგახსენებთ, თუნდაც, ვაჟკაცობისა და ზნეობრიობის ეტალონურ ნაბიჯს სულგანათლებული ლევან მიქელაძისა, რომლის ტოლი და წონის დიპლომატი, არა მგონია, ბევრი დადიოდეს ამ სამინისტროს კორიდორებში.

და ვერავითარი, ვითომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ვითომ სტრატეგიული პარტნიორებისთვის ანგარიშგასაწევი მოსაზრებები, ანდა, ერთობ წარმატებული (!!!) და საამაყო (!!!!) ვიზიტი ვაშინგტონში ვერ გადაფარავს იმ მტკივნეულ ალიყურს, რომელიც ვინმე ზალბერმა საქართველოს უთავაზა. ეს ასე ადვილად არც არავის დაავიწყდება, ისევე, როგორც ამ ე.წ. ელჩისთვის „ყურის აწევის“ თინეიჯერული ქადილი და სამარცხვინო გაფაფხურება, შესაბამისი შედეგით!

ჩვენს უახლეს ისტორიას ისეთი სანანებელი გადაწყვეტლებებიც ახსოვს, რაც საკუთარი ინიციატივით მივიღეთ, რათა არ გაგვნაწყენებინა ახალი „უფროსი ძმა“, დაგვემტკიცებინა მისთვის, რომ უფრო დიდი კათოლიკეები ვართ, ვიდრე რომის პაპი. გახსოვთ, ალბათ, უბედური შემთხვევის შედეგად წარმოშობილი დანაშაულისთვის საქართველოს მოქმედ დიპლომატს იმუნიტეტი მოვუხსენით და ვახეხინეთ უცხო ქვეყნის ციხე, ხოლო ანალოგიური შემთხვევისთვის დასასჯელი ევროკავშირის დიპლომატი ქვეყნიდან დროულად „გავაპარეთ“.

ჩვენ დიპლომატიურ კორპუსს (და არა მარტო მას) შევახსენებთ, რომ არავინ ივიწყებს მსგავს „ჩავარდნა-ჩასვრებს“ ისევე, როგორც არავინ არის ბრმა, არც ყრუ, რომ ვერ დაინახოს, ვერ გაიაზროს, ვერ გაითავისოს ის მიღწევა, ის სასიხარულო და საამაყო შედეგი, თუნდაც, ევროპაში უვიზო მიმოსვლის გადაწყვეტილებამ, ან ამერიკაში ბოლო, მართლა წარმატებულმა ვიზიტმა რომ მოიტანა, საზოგადოებამ გაიზიარა და მხარი დაუჭირა ჯერ მედიის ობიექტურ შეფასებებს, მერე კი სახელმწიფოს სახელით გამოთქმულ პრემიერის საჯარო მადლობას.

მაგრამ, არც ისე გვაქვს საქმე, რომ მავანმა ცხვირი ასწიოს და კრიტიკისგან დაზღვევა, ინდულგენცია გაინაღდოს. პირიქით, ამ სფეროში გამწესებულთა საქმიანობას, ქცევას, ცხოვრებას ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, მედია, საზოგადოება მუდმივად დააკვირდება გამადიდებელი შუშით, რამეთუ ეს სამინისტრო, მთელი დიპლომატიური კორპუსი საერთაშორისო არენაზე ქვეყნის სახეს წარმოადგენს, მისი ავტორიტეტის გამომხატველი და პოლიტიკურ-მორალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა გახლავთ და არა „ოჯახური ბიზნესი“, საკუთარ „ახლობელთა“ და „თანაკლასელთა“ დასაქმების ბიურო, როგორც ეს იყო არცთუ შორეულ წარსულში. და, საზოგადოების დაკვირვებით, ასეთი მიდგომა – „ელემენტებისგან“, სამწუხაროდ, ეს უწყება, დღემდე ვერ განთავისუფლებულა.

დაბოლოს, საზოგადოების ვერდიქტია ის, რომ ბატონი ზალბერი ქართული სახელმწიფოს მხრიდან, ტაქტიანად,ზედმეტი რახარუხის გარეშე, მაგრამ პრინციპული, დაბეჯითებითი მოთხოვნა-რეკომენდაციით უცილობლივ (!), ვადაზე ადრე (!), ანუ მისი მანდატის დასრულებამდე (15.07.2017), უნდა ჩამოშორდეს იმ პროცესს, რომელსაც იგი „აკვირდება“, „აფასებს“ და რომლის მიზნობრივად და მშვიდობიანად დამთავრებისთვის უნდა იძლეოდეს კომპეტენტურ და ობიექტურ „რეკომენდაციებს“, როგორც ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისების საკითხებში. ეს მაგალითი იქნება სხვებისთვისაც, ვისაც არ უნდა გაისიგრძეგანოს ჩვენი ღრმა წუხილი და იმედი. ეს ჩვენი საზოგადოების ერთობ მრავალრიცხოვანი და ობიექტური ნაწილის პრინციპული აზრია და მოლოდინი.



ზალბერს და ბრიუსელში მის მიერ ჩატანილ „ინფორმაციას“ აწი ბიბილოვი, ხაჯიმბა, ლავროვი და კომპანია ენდოს!

ტაში, კუკური!!!!

ნუგზარ ფოფხაძე

ულვაშიანი ქურდი ქათამი!

საქართველოს ამაოხრებელ-დამნელებელი და ქართველების მომსპობ-გადამშენებელი საკაშვილის ხროვის წევრები (მინისტრები, გუბერნატორები, გამგებლები, სხვა მაღალი თანამდებობების ჩინოსნები და გონგამოცლილი, ფეხის ხმას აყოლილი წვრილ-ფეხობა) გაუსაძლის ყოფაში ჩავარდნილ და თავის გადარჩენაზე მოფიქრალ ადამიანებს, ალბათ, მეტ-ნაკლებად დაავიწყდათ კიდეც. ამიტომ, გვინდა შეძლებისდაგვარად მაინც შევახსენოთ მათი შავი ნამოქმედარი, ავკაცობა და ღალატი, რადგან აუცილებლად დადგება ჟამი, უკლებლივ ყველაფერზე პასუხის გაცემისა, თავისუფალსა და დამოუკიდებელ სასამართლოში. ჩვენდა საბალალოდ და დასაღონებლად, ქვეყნის ამომგდები და დამაქცევარი ეს მავნე არსებანი, ცოტანი არ არიან.

გაზეთ „ილორის“ №385-ში მთავარმა რედაქტორმა, ბატონ როლანდ ჯალაღანიამ საქართველოსა და ქართველების გამყიდველი,. მოღალატე „ნაციონალების“ სია გამოაქვეყნა. ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ასე მოგვმართა: **„ქართველებო, კარგად დაიხსომეთ! აი, ესენი არიან საქართველოს ჩამოურეცხავი ჭუჭყი და სირცხვილიო!“** იმ 27 არსებას შორისაა ნაციონალად შობილი **რომან გოცირიძეც**. შედარებების დიდოსტატმა და დიდებულმა პოეტმა რეზო ამაშუკელმა ამ ბედშავ კაცუნას **„ულვაშიანი ქათამი“ („ილორი“, №390, 2016 წ.) შეარქვა**.

საბჭოეთის სულის ღაფვის ბოლო პერიოდში, უნივერსიტეტის ახალგაზრდა კაფანდარა ლექტორი რომან გოცირიძე, ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში საუბრებს უტარებდა ჟურნალისტებს და შეძლებისდაგვარად ათვითცნობიერებდა საბჭოეთისა და უცხოეთის იმდროინდელი ეკონომიკის საკითხებში.

ეროვნული მოძრაობის აღზევებისას „სახალხო ფრონტში“ გაწევრდა, საპროტესტო აქცია-მიტინგებში მონაწილეობდა, საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას „მოითხოვდა“. მერე, ეროვნული ხელისუფლების რამდენიმეთვიანი არსებობის პერიოდში, მოულოდნელად თვალს მიეფარა. ალბათ, ისევ ლექციებს თუ კითხულობდა, ჩინიან თანამდებობას ისეთს ვერაფერს მიაღწია და საფიქრებელია, სწორედ ამან განაწყო დაბოღმილი არსება ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. კრემლისგან მხარდაჭერილი, საქართველოს გამყიდველებისგან მოწყობილი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, მოსკოვიდან ჩამოყვანილი შევარდნაძის რეჟიმთან მიხოხდა და თავდავიწყებით მიემხრო. ზნე და ფერნაცვალი მაშინვე შეუდგა შავ საქმეთა კეთებას, გამალებულმა დაიწყო ზვიად გამსახურდიას „შეცდომების მხილება“ და კრიტიკა.

თანამდებობრივი სკამის მაძიებელს სათანადოდ დაუფასდა გარჯა, შევარდნაძემ ხელისბიჭად და ლაქიად ამოცნობილ გოცირიძეს ვიცე-პრემიერობა უბოძა. მაშინ ატეხილი „ნულოვანი ვარიანტის“ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტის დროს, ახალგადიდკაცებულმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი მოსკოვიდან შემოთვლილ მუქარას და ბრძანებას, რამაც საქართველოს საბჭოთა კავშირის ქონებიდან სამი თითის კომბინაციის გარდა, არაფერი არგუნა.

კარლო კოპალიანი, პარლამენტარი: „რომან გოცირიძე შევარდნაძის დროს ვიცე-პრემიერი იყო და ეკონომიკის საკითხებს განაგებდა, ქართული ეკონომიკის დაქცევა მისგან დაიწყო, მის დროს განიავდა საქართველოს ქონება. თავის დროზე ეგ კაცი „ნაციონალებმაც“ მოისროლეს, მერე რაღაც გზებით ისევ დაბრუნდა მათთან“. („ახალი თაობა“, №116, 2016 წ.). მანამდე არაფრის მქონეს და მშიერს, უდიდესი წვლილი მიუძღვის საბჭოთა ქონებიდან საქართველოს მთლად ხელმოცარულად დარჩენაში. თვითონ კი დანაშაულებრივი და ბინძური ოპერაციებით გვარიანად გაიმართა წელში და ღონივრად დადგა ფეხზე. ასეთი დანაშაულების ჩამდენს, ყველაფერი ეპატია და შერჩა. ამიტომაც, „ჩემი შენ გითხარის“ პრინციპმომარჯვებული ნაცკაცუნა არარაობა, დღეს თავხედურად შეურაცხყოფს მისგან და ქვეყნის გამაცამტვერებელი „ნაცებისგან“ კოლაფსამდე მიყვანილი ეკონომიკის სულ მცირედით მაინც ამქვეყნისკენ ჯერაც ვერ შემომბრუნებელ ახლანდელ ხელისუფლებას.

გასდის და ყვირის, ციხეში დიდი ხნით აღრე გამოსამწყვდევი ულვაშიანი ქათამი, ნებაზე მიშვებულის დასამუხრუჭებლად კი არავინ ირჯება. არადა, ხვალ უარესად გავა თავს და ვინ იცის, რას არ მოროშავს.

ანზორ აბრალავა, ყოფილი პარლამენტარი: „რომან გოცირიძის ახალ სახედ დასახელება სასაცილოა. ეს ძველი, ჩამოწერილი სახეა. კუპონიზაციის ამბავი ყველამ იცის, იგი იყო თენგიზ სიგუას მოადგილე. დადგენილია, რომ პრემიერის ხელმოწერის გაყალბების გზით მან საკუთარ თავს გამოუყო ბინა“. („ახალი თაობა“, №167, 2016 წ.).

არა გვგონია, მხოლოდ ამ სიყალბეს დასჯერებოდა. ხომ გახსოვთ ნათქვამი, — უნახავმა, რა ნახაო?!.. ჰოდა, მანაც ნახა, გემოც გაუსინჯა და რაკი ერთი იკადრა, გაუტია და ვინ უწყის, რა არ ჩაიდინა და მოიმოქმედა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ შევარდნაძემ, ბრძანება-დავალებების უერთგულესად შემსრულებელ მონა-ყმას, ხელოვნურად გამოგონილ-შეკოწიწებული და არაფრისთვის და არავისთვის საჭირო პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი გაუხსნა და მის „ნაჩალნიკად“ წამოასკუპა. თუმცა, არაფრის მაქნისმა ამ „სამსახურმა“ დიდხანს არ იარსება და დავიწყებას მიეცა. საყურადღებო ის იყო, რომ, მხოლოდ, იმ შავ-ბნელი პერიოდის ამსახველ მატიანეში, რომან გოცირიძე „კუპონის მამის“ სახელით ჩაიწერა.

გაზეთი „ასავალ-დასავალი“, №14, 2014 წ.: „1993 წლის მარტში, შევარდნაძეს და რომან გოცირიძეს უკვე დამუშავებული ჰქონდათ საქართველოს კუპონიზაციის გეგმა, გათვლილი ჰქონდათ 1 მილიონი დოლარი უნდა ეყიდათ 1 მილიონ კუპონად. შევარდნაძის თანხმობით, მის ხელისბიჭებს მითვისებული და მოპარული აქვთ 800-900 მილიარდი საბჭოთა მანეთი, რაც 1990 წლის კოეფიციენტის თანახმად 150 მილიარდი დოლარიდან 200 მილიარდ დოლარამდეა!“

აი, როგორ გაგვფცქვნეს და გაგვაღატაკეს!

არადა, მილიონის ციფრგამოსახული კუპონი ხომ თითოეულ ქართველს გაგვაჩნდა და იმდროინდელ ვითარებაში მყოფებს, მათით მხოლოდ ცოტაოდენი პურისა და შაქარ-მარილის ყიდვა შეგვეძლო. აი, ყაჩაღებმა და მძარცველებმა კი, იმ „უძალო“ ქაღალდებით მილიონ-მილიარდები დაიტაცეს!

აი, სწორედ იმ ყაჩაღობის, ქვეყნისა და ერის ღალატისა და გაყიდვის მონაწილეა ქვეშქვეშა და მუზმუზელა „ულვაშიანი ქათამი“, მილიონერად მოვლენილი რომან გოცირიძე.

ნოდარ ჯავახიშვილი, რეგიონული განვითარების ყოფილი მინისტრი: „ქართველმა ხალხმა კუპონს „გოცირიკები“ შეარქვა, გოცირიძეს კი — „კუპონჩიკა“ („ახალი თაობა“, №215, 2016 წ.).

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: „რომან გოცირიძის სახელსაც პირდაპირ უკავშირდება ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო და ბნელით მოცული მოვლენა — კუპონიზაცია. „ალ-კუპონედ“ წოდებული ულვაშცმაცუნა“... („ილორი“, №366, 2016 წ.).

„ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“, — ეტყობა, კმაყოფილი ღიღინებს პირადი ცხოვრების გემოზე მომწყობი ულვაშიანი ქათამი.

მომდევნო მაღალჩინოსნობა გოცირიძეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რანგში მოუწია. ეტყობა, ყველაზე მეტად ოდითგან თქმული — ჯერ თავო და თავოო, აქვს გამჯდარი გულსა და გონებაში, რადგან გაპრეზიდენტებულმა, მაშინვე 18 ათასლარიანი ხელფასი დაინიშნა და თუ შაბათ-კვირასაც „წაიმუშავებდა“, 1500 ლარსაც უმალ დაირტყამდა, ამას გარდა, პრემიებითაც უხვად ისაჩუქრებდა თავს. მალევე, ბანკისთვის „ჰაერივით საჭირო“ ოთხი ცალი 60 ათასდოლარიანი ჯიპიც შეიძინა, თურმე მის გარეშე „შეუძლებელი გახდებოდა“ ნებისმიერი საქმის გაკეთება. მაშინ ბევრჯერ ითქვა მის მიერ 170 ათასლარიანი კრედიტის უპროცენტოდ გატანის შესახებ. თქმით კი ითქვა, მაგრამ რითი დასრულდა ის ხმაური, არავინ იცის. ალბათ, ეს ყველაფერი მართალია, რადგან ეგზომ გაფულიანებულ ბანკის „ნაჩალნიკს“, სახლთან ვიდეოკამერები დაუყენებია... სხვა რამეებზეც ბევრჯერ ითქვა — თვითნებურად გასცემდა კრედიტებსო; ერთ ზამთარს უკვალოდ გააქრო 70 ათასი დოლარიო, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მაღაზიების მეპატრონეაო და ვინ იცის, კიდევ რა არა...

ასეთნაირი აღმასვლითა და არმად ნაშოვნით წამოტივტივებული ულვაშიანი ქურდი რომანა, რამდენიმე ხანი აღარ ეჩხირებოდა თვალში საზოგადოებას. ერთხელაც, მარადჟამ მომტირალსიფათიანი ისევ გვეჩვენა, თითქოსდა სამარადისოდ მივიწყებული. გამოჩნდა ბილწი სულისა სად წავიდოდა, თუ არა „ნაციონალების“ ჯოჯოხეთ ბუნაგში. მათი ამორალური და ფსიქოპათი ატამანის ფეხებთან დაიწყო ფორთხვა და უკანალში შეძრომა. მიიპყრო კიდეც მისი ყურადღება და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების სიაში შეტენვა.

და „გადეპუტატდა“ ულვაშიანი ქათამი. იცის სამაგიერო რომ უნდა მიაგოს მიშიკას და ყველა წინადადებისა თუ კანონპროექტის „მიწაში ჩადებით“, მოწინააღმდეგეების „გაცამტვერებით“ უმტკიცებს ერთგულებას. თანაც, სახვალიო საქმეს „იკვარახჭინებს“, სნეული უსტაბაშის „კვლავმობრუნების“ შემთხვევაში შევარდნაძისდროინდელი სამსახურებრივი აღმასვლის გამეორება სწადია.

ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა შეუძლებელია, მაგრამ, ეტყობა, ერთ დროს თბილისში ნათესავთან „ნახლებნიკად“ შეკედლებულ არაფრის მქონეს და მერე, მრუდე გზით შავი დედალივით გაკეთებულს ეს არ ეხება. ალბათ, ისიც სჯერა, რომ მისგან გაღატაკებულმა მართალმა ქართველებმა ყველაფერი დაივიწყეს, ყველაფერი შეარჩინეს და მიუტევეს.

ეგრე არ არის, თაყაო!..

გელა ჯიღაური

ბრალდებულებს პატიმრობა შეეფარდათ

სასამართლომ 26 მაისის საქმეზე ბრალდებულებისათვის აღკვეთის ღონისძიების სახედ შეფარდებული პატიმრობა ძალაში დატოვა. მოსამართლის განმარტებით, არ არსებობს ახალი გარემოებები, რაც გათავისუფლების გადაწყვეტილების საფუძველი გახდებოდა. გუშინდელ პროცესს ესწრებოდა მხოლოდ ვასილ ლელუაშვილი. ლევან ქარდავა და რევაზ შიუკაშვილი პროცესზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ გამოცხადდნენ, რაც მოსამართლემ სხდომის გადადების მიზეზად მიიჩნია და საქმის პირველი არსებითი განხილვა ჯერ ვერ შედგა. დანარჩენ ბრალდებულებს დავით ახალაიას და გიორგი ლორთქიფანიძეს, შეგახსენებთ, რომ ამჟამად ისინი მიმალვაში იმყოფებიან.

მინისტრი ახალი პროექტების განსახილველად მედიას ხვდება

20-21 მაისს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ორგანიზებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, კახეთის რეგიონში გაიმართა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომელიც სოფლის მეურნეობის პროექტების, ძირითადად კი აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის დეტალურ განხილვას და ამ მიმართულებით ჟურნალისტების ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ჟურნალისტებთან აღნიშნა, ისეთი სტიქიური მოვლენების დროს, როგორიც ბოლო დღეებში ქვეყანაში ხდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგროდაზღვევის როლი ფერმერებისთვის მიყენებული ზარალის შემცირებაში. მინისტრმა მენაა, თუმცა მისი ბიომრავალფეროვნების და უნიკალური კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა იმ გამოწვევებზეც (ფრაგმენტული მიწა, მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა, მაღალი ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოების განვითარება და სხვა) ისაუბრა, რომლის დაძლევის გზებზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბოლო წლების განმავლობაში, აქტიურად მუშაობს. ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ყველა არსებული რესურსი, რათა დარგი ეფექტიანად განვითარდეს და საქართველოს ეკონომიკის კონტრიბუტორი გახდეს.

შეხვედრის ფარგლებში გაიმართა დისკუსიაც, სადაც დარგის განვითარების ახალი მიდგომები, სტიქიის დროს ზარალის ანაზღაურების საკითხები, მიწის გასხვისების რეგულაციები, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, DCFTA და ადგილობრივი პროდუქციის ევროპის ბაზარზე ექსპორტის მნიშვნელობა, შესანახი და სამაცივრე მეურნეობების განვითარების აუცილებლობა, სუბსიდირება და მეღვინეობის განვითარების საკითხები, ღვინის პოპულარიზაცია და მარკეტინგული ღონისძიებები (ჩინეთი, იაპონია, კორეა, პოლონეთი, აშშ, ინგლისი) და კოოპერაციის მნიშვნელობის საკითხები განიხილეს.

ზურაბიშვილი მცხეთა - ლევილის დაძმობილების წინააღმდეგია

პარლამენტის დიასპორის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე სალომე ზურაბიშვილი მცხეთასა და ლევილს შორის დაძმობილების კატეგორიული წინააღმდეგია. ზურაბიშვილი კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ზვიად გონაძის განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც ლევილსა და მცხეთას შორის დაძმობილების მიზნით, მემორანდუმის ხელმოწერაზე ისაუბრა:

„ეს სრულიად შემაშფოთებელია. არ შეიძლება, მცხეთასა და ლევილს შორის დაძმობილების პროექტი გაფორმდეს. არ ვიცი, იყავით თუ არა ლევილში, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს სრულიად წარმოუდგენელია, რადგან ეს არის ერთ-ერთი მიყრუებული სოფელი პარიზის გარშემო. არ შეიძლება, ჩვენ წარმოვიდგინოთ, რომ ლევილი დაძმობილებული იყოს მცხეთასთან, რომელსაც სულ სხვა დატვირთვა აქვს. ლევილი ის ადგილია, სადაც შემთხვევით საქართველოს ემიგრაციის იმ დროინდელი ადგილსამყოფელი დაარსდა, სადაც მათი ისტორიის ნაწილი დამკვიდრდა. იქ არცერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა არ მომხდარა, რომელიც საქართველოს ისტორიაში უნდა დარჩეს და ეს მხოლოდ და მხოლოდ მცხეთის მნიშვნელობის დაქვეითებაა. ამიტომ, კატეგორიულ წინააღმდეგობას გამოვთქვამ“, — განაცხადა ზურაბიშვილმა.

კავკასიაში რუსულ-კავკასიური ომების მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღინიშნა

გუშინ კავკასიაში რუსულ-კავკასიური ომების მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი განცხადებას ავრცელებს:

,,1864 წლის 21 მაისს კრასნაია პოლიანაზე დამარცხდნენ კავკასიის ხალხები, მათ შორის ადიღეელები, უბიხები და აფხაზები. ომებისა და მუჰაჯირობის შედეგად ფაქტობრივად გაქრა ამ ხალხების კვალი მათი საცხოვრებელი ადგილებიდან, დაიკარგა მათი მატერიალური კულტურა და ენა. 1864-1877 წლებში კი 80 000-მდე აფხაზი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სამშობლო. მუჰაჯირობამ გაამწვავა აფხაზეთში დემოგრაფიული პრობლემა, რომელიც აფხაზებისათვის დღესაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მუჰაჯირობა შეეხოთ დაახლოებით 150 000 ქართველ მუსლიმსაც, ძირითადად დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან და სამცხე-ჯავახეთიდან.

სახალხო დამცველი პატივს მიაგებს კავკასიური ომების მსხვერპლთა ხსოვნას. საჭიროა სათანადოდ გაანალიზებულ იქნას ეს მოვლენები და მათი შედეგები, ისევე, როგორც მათი გავლენა დღევანდელ კონფლიქტებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მსგავსი ქმედებები მომავალში. ამ მოვლენის სათანადო შეფასება ხელისუფლებებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და აქტიური ნაბიჯების გადადგმა ამ ხალხთა უფლებების დაცვის მიმართულებით, ხელს შეუწყობს რეგიონში მშვიდობასა და ამ ხალხთა უფლებების აღდგენას“, — ნათქვამია განცხადებაში.

პროკურატურამ ოთარ ფარცხალაძის საქმეზე აუდიტის მასალები გამოითხოვა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ აუდიტის სამსახურიდან თბილისის მერიის მიერ 2016 წელს მიწების გადაცემის შესახებ მასალები გამოითხოვა. ამის შესახებ უწყებამ განცხადება გაავრცელა.

„საქართველოს მთავარმა პროკურატურამ წერილობით მიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და მოითხოვა ხსენებულ უწყებაში მიმდინარე შემოწმების მასალების გადმოგზავნა, რომელიც შეეხება ქ. თბილისის მერიის მიერ, 2016 წლის პერიოდში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) გადაცემის კანონიერებას.

საქართველოს გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას მიერ მედიასაშუალებებში გაკეთდა არაერთი განცხადება, რომელშიც იგი მიუთითებდა, რომ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური სწავლობდა 2016 წელს, თბილისის მერიის მიერ მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის კანონიერებას და მასში იკვეთებოდა დანაშაულის ნიშნები.

მიუხედავად არაერთი განცხადებისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ არ მოხდა აღნიშნული მასალების გასაჯაროება და რეაგირების მიზნით სამართალდამცავი ორგანოსთვის გადაგზავნა.

ვინაიდან ,,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 241-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის ნიშნების შემცველი აუდიტის მასალების გადაგზავნა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სამართალდამცავ ორგანოში, რასაც სახელმწიფო აუდიტის სამსახური აჭიანურებს, საქართველოს პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება თავად გამოითხოვოს აღნიშნული მასალები შესაბამისი სამართლებრივი რეაგირებისთვის.

წერილი საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გუშინ გაუგზავნა“, — ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პირველად ხელი თორდიამ მოიქნია

შს სამინისტრო თორდია -ფარცხალაძის საქმეზე გამოძიების შუალედურ დასკვნას აქვეყნებს. შს სამინისტროს ინფორმაციით, თორდიას, ფარცხალაძისა და სხვა პირების გამოკითხვისას ცნობილი გახდა, რომ თორდიასთვის ფარცხალაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია და ფარცხალაძეს პირველად ხელი თორდიამ მოუქნია.

„ელ ცენტროს ტერასაზე პირველად თორდიამ მოიქნია ხელი და მიხეილ ჩოხელს მოარტყა, კონფლიქტში ჩაერია კლუბის დაცვა და ინციდენტი მალე ამოიწურა. ლაშა თორდია არ მიუთითებს, რომ მას ხელი ოთარ ფარცხალაძემ დაარტყა,“ — განაცხადეს შს სამინისტროში. უწყებაში ვიდეოკადრებიც გაასაჯაროვეს.

ბათუმის ახალ ბულვარში „მეტროსითი ფორუმი“ გაიხსნა

ბათუმის ახალ ბულვარში კომპანია „მეტროს“ სავაჭრო ცენტრი „მეტროსითი ფორუმი“ გაიხსნა. სავაჭრო ცენტრის გახსნის ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე აჭარის მინისტრთა კაბინეტის წევრებთან და კომპანია „მეტროს“ დირექტორთან ერთად დაესწრო. მთავრობის თავმჯდომარემ ახლად გახსნილი „მეტროსითი ფორუმი“ დაათვალიერა და იმედი გამოთქვა, რომ ამგვარი სავაჭრო ცენტრების აშენება ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

„მინდა, მივულოცო ბათუმელებს და ქალაქის სტუმრებს ახალი სავაჭრო ცენტრის გახსნა. უამრავი სივრცე შენდება რეგიონში, რაც საუკეთესო საშუალებაა უამინდობის დროს. ჩვენი ქალაქელები, სტუმრები შეძლებენ ბავშვებთან ერთად მოვიდნენ, გაერთონ სავაჭრო ცენტრში, სადაც განთავსებულია კინოდარბაზი, სწრაფი კვების ობიექტები, ატრაქციონები. 500-მდე ადამიანი დასაქმდება ამ ბიზნესცენტრში. სავაჭრო ცენტრის შენობა 16 000 კვადრატული მეტრის ფართობზეა განთავსებული. ჩვენი რეგიონის განვითარების კუთხით ცენტრის გახსნა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია“ — აღნიშნა ზურაბ პატარაძემ სავაჭრო ცენტრის გახსნისას.

16 000 კვადრატული მეტრის ფართობზე განთავსებული სავაჭრო ცენტრი აშენებულია უახლესი ევროპული სტანდარტების მიხედვით, კეთილმოწყობილია ესკალატორებით, ლიფტით, თანამედროვე ლოჯისტიკური სისტემით, უზრუნველყოფილია პარკინგითა და თანამედროვე სტანდარტებით. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 100 მლნ დოლარია. სავაჭრო ცენტრში 500-მდე ადგილობრივი დასაქმდება. როგორც კომპანია „მეტროში“ აცხადებენ, სავაჭრო ობიექტი დატვირთული იქნება ისეთი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებით, როგორებიცაა ტანისამოსი, აქსესუარები, კვების ობიექტები, პარფიუმერია, კინოთეატრი, ბავშვთა გასართობი ცენტრი. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, კონტრაქტები გაფორმებულია საქართველოში ცნობილ ბრენდებთან, მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე უცხოურ ბრენდთან. ცენტრში წარმოდგენილი იქნება, როგორც საქართველოში უკვე არსებული ახალი ბრენდები, ასევე უცხოური ბრენდებიც.

„საქართველოში მცირე ბუნებრივი მატება არაქართველი მოსახლეობის ხარჯზე ხდება“

2017 წლის იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ ჩვენს მიერ კონ-

ტროლირებად ტერიტორიაზე 3, 718 მილიონი შეადგინა. აღნიშნული მონაცემები 0,1%-ით ნაკლებია 2016 წლის 1 იანვრის მონაცემებთან შედარებით. მართალია, ერთი შეხედვით, 0,1% თითქოს საგანგაშო ციფრი არ არის, მაგრამ, დემოგრაფების მოსაზრებით, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის ესეც მნიშვნელოვანი დანაკარგია.

დემოგრაფიული დანაკარგის შესახებ For.ge დემოგრაფ ანზორ თოთაძეს ესაუბრა.

— ჩვენი მოსახლეობის რიცხვის 3, 718 მილიონამდე შემცირებას „საქსტატი“ იმით ხსნის, რომ ერთი წლის მანძილზე ემიგრანტთა რაოდენობა გაიზარდა, რამაც 98,3 ათასი ადამიანი შეადგინა. გამოდის, რომ 2016 წელს საქართველოდან 98, 3 ათასი კაცი წავიდა, რაც 2,4%-ით მეტია 2015 წელთან შედარებით. რამდენად მნიშვნელოვანი დანაკარგია 0,1%-ით ჩვენი მოსახლეობის შემცირება?

— მართლაც, ჩვენი მოსახლეობის რიცხვმა 3, 718 ათასი შეადგინა. არადა, ცოტა უფრო ადრე ეს მონაცემები 3, 720 ათასს უტოლდებოდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული დემოგრაფიული ცნობების მიხედვით, 2016 წელს საქართველო მსოფლიო სახელმწიფოთა შორის ტერიტორიის სიდიდის მიხედვით ასეულშიც ვერ მოხვდა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით 136-ე ადგილი დაიკავა. ეს მაშინ, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში, მე-12 საუკუნეში ჩვენი მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 1,5%-ს შეადგენდა, ხოლო მსოფლიო მოსახლეობის ყოველ ათი ათას კაცში დაახლოებით 150 კაცი იყო ჩვენი ქვეყნის მაცხოვრებელი. ამჟამად საქართველოს მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 0,05%-ს შეადგენს და მსოფლიო მოსახლეობის ყოველ ათი ათას კაცში მხოლოდ ხუთია საქართველოს მოქალაქე. სწორედ ასეთი მძიმე დემოგრაფიული მაჩვენებლებით შევხვდით მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნას.

— მოსახლეობის განვითარების მხრივ ევროპული ტიპის ქვეყანას მივეკუთვნებით. შესაბამისად, ჩვენთანაც ისევე, როგორც მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობა სულ უფრო მცირდება. თუმცა როგორი დემოგრაფიული სურათი იკვეთება ჩვენს მეზობელ ქვეყნებში?

— ცხადია, იზრდება აზიისა და აფრიკის მოსახლეობის რაოდენობა, რაც მთელ რიგ ცვლილებებს გამოიწვევს, რადგან დაპირისპირება ხდება იდეოლოგიის, კულტურის, ცხოვრების წესის, რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით. რაც შეეხება მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობას, იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებს, მოსახლეობის რაოდენობა არნახულად იზრდება. სამაგიეროდ, ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მოსახლეობა შემცირდა. საუბარია პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე.

1989-2016 წლებში ქრისტიანული აღმსარებლობის ცხრა ქვეყანაში 14 მილიონ 361 ათასით შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო მაჰმადიანური ექვსი აღმსარებლობის ქვეყანაში 23 მილიონ 16 ათასი კაცით მოიმატა. მაგალითად, უზბეკეთში მოსახლეობის რაოდენობა 11 მილიონ 790 ათასი კაცით გაიზარდა და 1989 -2016 წლებში მატების ტემპმა 60% შეადგინა; ტაჯიკეთში გაიზარდა 3 მილიონ 454 ათასით, აზერბაიჯანში — თითქმის 3 მილიონით. აღსანიშნავია, რომ 16-მილიონიანი ყაზახეთის მოსახლეობა შედარებით მცირე რაოდენობით გაიზარდა, კერძოდ, მილიონ 207 ათასი კაცით, რასაც თავისი ახსნა აქვს.



კერძოდ, 1989 წელს ყაზახეთში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ რუსები, 6 მილიონზე მეტი რუსი ცხოვრობდა, რაც თითქმის ყაზახების რაოდენობის ტოლი იყო. ყაზახებიც 6 მილიონს შეადგენდნენ. რუსებში დაბალია შობადობის და მაღალია სიკვდილიანობის დონე. ამდენად, მომდევნო წლებში ყაზახეთში მნიშვნელოვნად მცირდებოდა რუსების და იზრდებოდა ყაზახების რაოდენობა. მთლიანობაში, 1989-2009 წლებში რუსების რაოდენობა 6 მილიონიდან 3 მილიონ 7 ათასამდე შემცირდა, ხოლო ყაზახებისა 6 მილიონ 500 ათასიდან 10 მილიონამდე გაიზარდა, რაც ყაზახების მაღალ ბუნებრივ მატებაზე მიუთითებს.

— საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა მეზობელ თურქეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან შედარებით. როგორია ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ამ ქვეყნებში?

— 2000-2009 წლებში საქართველოში შეიმჩნეოდა მცირე ბუნებრივი მატება, სულ რაღაც 53 ათასი კაცის ოდენობით, მაგრამ ესეც არაქართველი მოსახლეობის ხარჯზე. ამავე პერიოდში მოსახლეობის აბსოლუტური ბუნებრივი მატების მაჩვენებელი თურქეთში 165-ჯერ მეტი იყო, ვიდრე საქართველოში, აზერბაიჯანში — 15-ჯერ მეტი, ხოლო სომხეთში — 2-ჯერ მეტი. ბუნებრივი მატება ნიშნავს სხვაობას გარდაცვლილებსა და დაბადებულებს შორის. თუ თურქეთში ბუნებრივი მატება 2000-2009 წლებში, ანუ ათ წელიწადში შეადგენდა 8 მილიონ 835 ათასს, აზერბაიჯანში შეადგენდა 830 ათასს, ხოლო სომხეთში — 120 ათასს, საქართველოში ეს შეადგენდა 53 ათასს. ე.ი. სომხეთშიც კი, რომელიც ჩვენზე უფრო მცირერიცხოვანია მოსახლეობით, ორჯერ მეტი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა. ამდენად, ჩვენს მეზობლებთან მიმართებითაც ასე მძიმეა ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობა.აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის 52,1% ქალია, 47,9% — მამაკაცი. ამასთან, საქართველოს 3,7 მილიონი მოსახლიდან 1,1 მილიონი თბილისში ცხოვრობს. შემდეგ მოდის იმერეთის რეგიონი, სადაც 529,7 ათასი ადამიანია, ხოლო ყველაზე ნაკლებად დასახლებულია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სადაც მხოლოდ 31 ათასი ადამიანი ცხოვრობს. წინასწარი პროგნოზით, ჩვენი მოსახლეობის რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდება, რაც 90-იან წლებში დაბადებულ გოგონათა განახევრებული ციფრით აიხსნება.

— ახლა ამბობენ, ქორწინება შემცირდაო.

— ამ შემთხვევაში, არაფერ შუაში არ არის ეკონომიკა, რადგან შობადობა წელს, ასევე, მომავალ წელსაც კიდევ უფრო შემცირდება, განახევრდება. ეს იმით აიხსნება, რომ 80-იან წლებში დაბადებულ 455 ათას გოგონას მეორე ათწლეულში 236 ათასი გოგონა მოჰყვა. სწორედ ეს 236 ათასი გოგონა დაბადებს განახევრებული რაოდენობის შვილებს და დემოგრაფიული სურათი კიდევ უფრო დამძიმდება. ახლა ჩვენ გვინდა, აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკით როგორმე გავზარდოთ შობადობა, რათა დაღმასვლის პროცესი შევაჩეროთ და ამის მერე დავიწყოთ ზრუნვა მოსახლეობის გამრავლებაზე.

მანანა ნოზაძე

მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვის გაცემის წესი და პირობები იცვლება

თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა „ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ მოქმედ რედაქციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტი მოამზადა და დასადგენად საკრებულოს წარუდგინა, — ამის შესახებ ინფორმაციას დედაქალაქის მერია ავრცელებს.

ახალი პროექტის თანახმად, დადგინდება მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვის გაცემის წესი და პირობები, საკომპენსაციო რგვის განხორციელების წესი და პირობები, ასევე, მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირისათვის საჭირო პირობები/კრიტერიუმები და მწვანე ნარგავების გადარგვისათვის საჭირო კრიტერიუმები.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, ახალი წესი დეველოპერის მიერ საკომპენსაციო რგვებს ითვალისწინებს და აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე ნარგავების შემდგომ მოვლა-პატრონობაზე მონიტორინგს მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური უშუალოდ განახორციელებს. გარდა ამისა, ახალი პროექტის თანახმად, გადარგვის პირობებს შეითანხმებს და შემდგომში მონიტორინგს განახორციელებს მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური, რასაც ძველი რედაქცია არ ითვალისწინებდა.

ამასთან, წესის დამტკიცების შემთხვევაში, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური შექმნის მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე უფლებამოსილ ექსპერტთა მონაცემთა ბაზას და მხოლოდ ის ექსპერტები შეძლებენ დარეგისტრირებას, რომლებიც დააკმაყოფილებენ მოთხოვნილ კრიტერიუმებს და წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტაციას. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას არ დაექვემდებარებიან ის ექსპერტები, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ან გაცემული დასკვნის სიყალბე დადგინდება.

შესაბამისად, მწვანე ნარგავების მოჭრა-გადარგვაზე ნებართვა არ გაიცემა, თუ დაინტერესებული პირი ვერ წარმოადგენს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ექსპერტის მიერ მწვანე ნარგავების შეფასებაზე გაცემულ დასკვნას, რაც ერთგვარი პრევენციული ღონისძიებაა.

„ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ პროექტი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში პარლამენტის მიერ შეტანილი ცვლილების თანახმად, დადგენილ ვადაში მომზადდა.

ბევრი სხვაც გვენახოს, კიდევ უფრო უკეთესი

ხშირად აღგვინიშნავს ის გარემოება, რომ ისე არაფერი ამახინჯებს ქალაქის იერსახეს, ინდივიდუალობას ართმევს მას და განუმეორებლობის ხიბლს უკარგავს, როგორც ერთმანეთს ტყუპისცალებივით დამსგავსებული ყოვლად უსახო შენობა-ნაგებობები.

მსოფლიოს რომელიც გნებავთ გამორჩეულ ქალაქის ხედს გონების თვალი რომ გადავავლოთ, თითოეულის ერთგვარ „სადარბაზო ბარათად“ რომელიმე ერთი, სხვათაგან განსხვავებული, თვითმყოფადი ნაგებობა ან ხედი წარმოგვიდგება.

იგივეს თქმა, ცხადია, თბილისაც ესადაგება, თუმცა კი ბოლო ათწლეულების მანძილზე დედაქალაქში არა მარტო ცალკეული უშნო შენობები აიგო, არამედ მთელი კვარტლებიც კი სრულიად უსახური კორპუსებით გაივსო. საკმარისია ვარკეთილის, ვაზისუბნის, გლდანის, თემქის, დიღმის, ნუცუბიძის პლატოების, საბურთალოს ყოვლად უსახური შენობების გახსენება, რომ კაცს გუნება უმალ გაგიფუჭდება.

ამდენად, დედაქალაქში ყოველი ორიგინალური, ახლებურად გააზრებული არქიტექტურისა და გარემოსთან ხალისიანად შერწყმული ნაგებობა მაშინვე თვალშისაცემია და გულის გასახარებელი.

ერთმა ასეთმა კოხტა ახალმა შენობამ ცოტა ხნის წინათ ბინა ჩუღურეთის რაინში, ჩიტაიას ქ. №6-ში დაიდო, სადაც ამიერიდან ბაგა-ბაღი განთავსდება. აქ ერთობ მცირე ტერიტოიაზე ორიგინალური, სამკუთხა ფორმის პატარა შენობა განათავსეს დამპროექტებლებმა, რომლებმაც ასევე გაითვალისწინეს პატარებისთვის ესოდენ აუცილებელი სათამაშო და გასართობი სივრცეების მოწყობა, თანაც ყველაფრის არც ლამაზი მინით მოპირკეთება და არც ხასხასა საღებავებით მოხატვა დავიწყებიათ.

ბაგა-ბაღის საზეიმო გახსნის ცერემონიას დედაქალაქის მერი **დავით ნარმანია** დაესწრო, რომელმაც განაცხადა, რომ პატარა თბილისელებს ახალი ბაგა-ბაღი სექტემბრიდან უმასპინძლებს.

ლალი ხუნდაძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



დამახასიათებელია ხმაური, რომელიც ატეხა ინგლისი-საფრანგეთისა და ჩრდილოამერიკულმა პრესამ საბჭოთა უკრაინასთან დაკავშირებით. **ამ პრესის მოღვაწეები ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდნენ, რომ გერმანელები მიდიან საბჭოთა უკრაინაზე, რომ მათ ახლა ხელი აქვთ ეგრეთ წოდებული კარპატეთის უკრაინა, რომელიც დაახლოებით 700 ათას მოსახლეს ითვლის, რომ გერმანელები უკვე მიმდინარე წლის გაზაფხულზე შეიერთებენ საბჭოთა უკრაინას, სადაც 30 მილიონზე მეტი მოსახლეა**. როგორც ჩანს, ეს საეჭვო ხმაური მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის გაღიზიანებას გერმანიის წინააღმდეგ, ატმოსფეროს მოწამვლას და გერმანიასთან კონფლიქტის პროვოცირებას ამისათვის ხილული საფუძვლების გარეშე.

რასაკვირველია, სავსებით შესაძლებელია, რომ გერმანიაში არიან გიჟები, რომლებიც ოცნებობენ შეუერთონ სპილო, ესე იგი საბჭოთა უკრაინა, ბუჭყას, ესე იგი ეგრეთ წოდებულ კარპატეთის უკრაინას. **და თუ მართლაც იქ არიან ისეთი ახირებულები, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ჩვენ ქვეყანაში ასეთი გიჟებისათვის დამაწყნარებელი პერანგების აუცილებელი რაოდენობა იქნება საჭირო. მაგრამ თუ მოვიშორებთ გიჟებს და მივმართავთ ნორმალურ ადამიანებს, განა ცხადი არ იქნება, რომ სასაცილოა და სისულელე, ვილაპარაკოთ სერიოზულად საბჭოთა უკრაინის მიერთების შესახებ ეგრეთ წოდებულ კარპატეთის უკრაინასთან?**

კიდევ უფრო მეტად დამახასიათებელია, რომ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი პოლიტიკოსი და პრესის მოღვაწე, რომლებმაც დაკარგეს მოთმინება „საბჭოთა უკრაინაზე“ ლაშქრობის მოლოდინში, თავად იწყებენ ყალბისმქმნელობის ჩაურევლობის პოლიტიკის გამოააშკარავებას. **ისინი პირდაპირ ლაპარაკობენ და წერენ, რომ გერმანელებმა მკაცრად „გააწბილეს“ ისინი, ვინაიდან იმის ნაცვლად, რომ წასულიყვნენ წინ აღმოსავლეთისკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისინი, ხედავთ, შემობრუნდნენ დასავლეთისკენ და ითხოვენ კოლონიებს, შეიძლება იფიქრო, რომ გერმანელებს მისცეს ჩეხოსლოვაკიის რაიონები, როგორც საფასური ვალდებულებისთვის — დაიწყონ ომი საბჭოთა კავშირთან, გერმანელები კი ახლა უარს ამბობენ გადაიხადონ თამასუქის საფასური**.

შორსა ვარ იმისაგან, რომ ვილაპარაკო ჩაურევლობის პოლიტიკაზე, „ღალატზე“, გამყიდველობაზე და ა.შ. გულუბრყვილობაა, უკითხო მორალი ადამიანებს, რომლებიც არ აღიარებენ ადამიანურ მორალს. პოლიტიკა პოლიტიკაა, როგორც ძველი ბურჟუაზიული გველაძუა პოლიტიკოსები ლაპარაკობენ. თუმცა, აუცილებელია ვიცოდეთ, რომ დიდი და სახიფათო პოლიტიკური თამაში, დაწყებული ჩაურევლობის პოლიტიკის მომხრეებიდან, შეიძლება მათთვის დამთავრდეს სერიოზული ჩავარდნით. ასეთია დღეს გაბატონებული ჩაურევლობის პოლიტიკის ნამდვილი სახე. ასეთია პოლიტიკური ვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში (ი. სტალინის მოხსენებიდან პარტიის XVIII ყრილობაზე).

და ჰიტლერმა გაიგო. ჩეხოსლოვაკიის ნარჩენების ხელში ჩაგდების შემდეგ დასავლეთი უკრაინა გადავიდა... უნგრეთის შემადგენლობაში. საბაბი ომისთვის ასე იქნა ლიკვიდირებული. სტალინის ბრწყინვალე გამოსვლამ ჩაშალა დასავლეთის გეგმები, გაეჩაღებინა ომი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ უკვე 1939 წელს. 1939 წლის 3 მაისს სტალინი დგამს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს — ის საბოლოოდ იღებს თავის ხელში კონტროლს ქვეყანაზე. ამ დღეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მაქსიმ ლიტვინოვი გადააყენეს, მის ადგილს კი იკავებს მოლოტოვი, მომხდარის არსი იყო — სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის კონტროლი. გერმანიის მხრიდან ზონდაჟების სერიის შემდეგ ბერლინი გვთავაზობს დავდოთ ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. და აქაც სტალინი ავლენს გასაოცარ სიმშვიდეს და პირდაპირ აიძულებს ჰიტლერს თავდაპირველად დადოს სავაჭრო შეთანხმება. მისი აზრი ასეთი იყო: გერმანია აძლევს სსრ კავშირს უზარმაზარ კრედიტს 200 მილიონი მარკის ოდენობით, რომელიც იხარჯება გერმანელებისგან უახლესი ტექნოლოგიების, ჩარხებისა და შეიარაღების შესყიდვაზე. ამ კრედიტს ჩვენ ვფარავთ სხვადასხვა ბუნებრივი რესურსების და სურსათის მიწოდებით. სავაჭრო-საკრედიტო შეთანხმებას ხელი მოეწერა 30 აგვისტოს (ღამის ორ საათზე) და მხოლოდ ამის შემდეგ სტალინმა მისცა თანხმობა მოსკოვში რეიხის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩამოფრენას. 1939 წლის 23 აგვისტოს სტალინმა საბოლოოდ ჩააგდო დასავლეთის გეგმები ჯერ კიდევ 1939 წელს ომის ორგანიზაციის შესახებ სსრ კავშირის წინააღმდეგ. მოსკოვში ხელს აწერენ შეთანხმებას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თავდაუსხმელობის შესახებ, რაც ასე ეჯავრებათ დასავლეთში, ხოლო რუსეთში — ლიბერალების გაჩენის მომენტიდან დასავლეთში. სინამდვილეში ეს ხელშეკრულება, როგორც შემდგომ მიუთითებდა სტალინი, არც პირდაპირ, არც ირიბად, არ შეეხებოდა ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობას და ჩვენი სახელმწიფოს ნაწილს. სსრ კავშირი არ ხდებოდა გერმანიის მოკავშირე, ჩვენ არ ვკისრულობდით — არც სამხედრო, არც ეკონომიკურ-ვალდებულებებს. სსრ კავშირი კისრულობდა ვალდებულებას გაეკეთებინა მხოლოდ ერთი რამ — არ დასხმოდა თავს გერმანიას და არ შესულიყო მის წინააღმდეგ მიმართულ კავშირებში. რა ვუყოთ ეშელონებს, რომლებიც 22 ივნისის დილამდე მიდიოდნენ გერმანიაში ჩვენი მხრიდან? ასე ვუხდიდით კრედიტს, რომელიც გერმანიამ მოგვცა და რამდენიმე ხნით ადრე გამოგვიგზავნა უახლესი მოწყობილობა. თუ ვალის გადახდა არ არის საჭირო, ბატონო ლიბერალებო? საკითხს, თუ რამდენად გადაიხადა კრედიტი სსრ კავშირმა, სესხის რა ნაწილი ჩამოწერა ომმა, არავინ სტალინის გამყალბებლებიდან არ სვამს. დღემდე არსად შემხვედრია ციფრი, რომელიც მეტყველებდეს იმის შესახებ, თუ სესხის რამდენი პროცენტის გადახდა მოასწრო სსრ კავშირმა და რამდენის ვერა.

1939 წლის 1 სექტემბერს ადოლფ ჰიტლერმა დაიწყო ომი პოლონეთთან, დარწმუნებულმა, რომ ინგლისი და საფრანგეთი პოლონელებს არ დაეხმარებიან. მაგრამ ლონდონმა და პარიზმა გამოუცხადეს მას ომი, რომელსაც არ აწარმოებდნენ. დაიწყო ეგრეთ წოდებული „უცნაური ომი“. საბრძოლო მოქმედებები პრაქტიკულად არ ყოფილა, მიდიოდა ომის მსხვერპლის გარეშე, რაც ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. „დასავლეთის ფრონტზე“ ჯარისკაცები თამაშობდნენ ფეხბურთს მოწინააღმდეგის დასანახად. იშვიათი ურთიერთსროლები, დაზვერვის ჯგუფების რეიდები, მცირე საარტილერი დუელები. მეტი არაფერი. ეს იყო რაღაც წარმოუდგენელი რამ, ვინაიდან პირველ მსოფლიო ომში ბრძოლები დაუყოვნებლივ დაიწყეს გასანადგურებლად. საფრანგეთის პრემიერი დალადიე სიამაყით ახსენებდა პარლამენტს, რომ 1939 წლის ოთხ თვეში ფრანგებმა ათას ხუთასი კაცი დაკარგეს, მაშინ, როდესაც 1914 წელს იმავე პერიოდში — 450 კაცი! დიდ ბრიტანეთში საქმე ასეთ უცნაურ სახეს იღებდა. ევროპაში ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის დანაკარგები ერთეულებს ითვლიდა. გერმანელები საჰაერო ბრძოლებს პრაქტიკულად არ აწარმოებდნენ, და ამ კორპუსის გადასხმა ევროპაში საერთოდ უდანაკარგოდ მოხდა. კანონი საერთო სამხედრო ვალდებულების შესახებ ალბიონში მიღებული იქნა ჯერ კიდევ ომის წინ, 1939 წლის 27 აპრილს. ომის გამოცხადებასთან ერთად გერმანელებმა მიიღეს დადგენილება, რომ ყველა მამაკაცი 18-დან 41 წლამდე ექვემდებარება გაწვევას. მაგრამ ეს გაწვევა დაიწყო ისე ნელა, თითქოს მთავრობა ელოდებოდა, რომ, აი, გაწვეულები აღარ იქნებიან საჭირო და მათ გაუშვებენ სახლებში. მაგალითად, 24 წლის გაწვეულებს სთხოვეს გამოცხადდნენ შესაკრებ პუნქტებში მხოლოდ 1940 წლის მარტში, ესე იგი ნახევარი წლის შემდეგ ომის გამოცხადებიდან. 1939 წლის დეკემბრის ბოლოს კი ინგლისელ სამხედრო მოსამსახურეებს საფრანგეთში ნება დართეს წასულიყვნენ შობის დღესასწაულზე სამშობლოში, ხოლო 1940 წლის იანვარში ლონდონში დააბრუნეს სოფელ ადგილებში ევაკუირებული ქალები და ბავშვები.

პოლონეთს არ მიუღია არანაირი რეალური დახმარება თავისი ბრიტანელი და ფრანგი მოკავშირეებისგან. არანაირი „მეორე ფრონტი“ არ ყოფილა. არ ყოფილა არანაირი შეიარაღების მიწოდება. ბრიტანეთის ავიაცია არ ეხმარებოდა პოლონეთის არმიას, რომლის თვითმფრინავებიც ძირითადად გერმანელების მიერ იყო დაფარული აეროდრომებზე. ამ მომენტში ინგლისელი მფრინავები გერმანიის თავზე ყრიდნენ... ფურცლებს. და მათი ეს „დასაქმება“ იყო იმ რეალურ დახმარებაზე უარის თქმის მიზეზი, რასაც პოლონელი სამხედროები ითხოვდნენ. პოლონეთი, მიტოვებული დასავლეთის დახმარებისგან, მალე განადგურდა გერმანელების მიერ. ლონდონმა და პარიზმა არ შეასრულეს თავიანთი სამოკავშირეო ვალდებულებანი ვარშავის წინაშე. ფაქტობრივად, პოლონელები ჩააბარეს ჰიტლერს.

ხელშეკრულებამ თავდაუსხმელობის შესახებ, რომელიც დადებული იყო გერმანიასთან, დაიწყო თავისი დადებითი ნაყოფის მოცემა. 1939 წლის 15 სექტემბერს იაპონიამ ხელი მოაწერა სამშვიდობო შეთანხმებას სსრ კავშირთან. იაპონელების მოკავშირე ჰიტლერმა ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე დადო ზავი მოსკოვთან, და ამან ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ტოკიოს გადაწყვეტილებაზე, აღარ ეომა რუსებთან. ყველაზე რთულ პერიოდშიც კი — 1991-1942 წლებში — სამურაებმა ვერ გარისკეს თავს დასხმოდნენ საბჭოთა კავშირს. რასაკვირველია, წითელი არმიის დარტყმამ ხალხინ-გოლთან და ხასანის ტბაზე, რაც ამ „მეგობრობას“ უსწრებდა წინ, ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ დიპლომატიამ სტალინისა, რომელმაც შეძლო შეთანხმებოდა ჰიტლერს, მიგვიყვანა სსრ კავშირის პრობლემის გადაჭრასთან მთლიანად და გადადო მთელი ორი ომი გერმანიასთან და იაპონიასთან.

სპეციალურად ლიბერალებისთვის გავიმეორებ კიდევ ერთხელ: სსრ კავშირი არ ყოფილა გერმანიის მოკავშირე. 1939 წლის 28 სექტემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას მეგობრობაზე და საზღვრის შესახებ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის. **მასში სიტყვაც არაა ნახსენები რაღაც ვალდებულებებზე სამხედრო ან ეკონომიკურ სფეროში, მასში ნახსენებიც არაა სიტყვა „მოკავშირე“**. და კიდევ — არანაირი დადასტურება ეგრეთ წოდებული „საიდუმლო ოქმების“ არსებობის შესახებ 23 აგვისტოს ჰიტლერთან იმ შეთანხმებასთან და ხელშეკრულებასთან თავდაუსხმელობის შესახებ არ არსებობს. არავის წარმოუდგენია დღემდე მათი ორიგინალი. გამყალბებლებად გვიჩვენებენ მხოლოდ ქსეროასლების ქსეროასლებს. ნიშანდობლივია, ისიც, თუ როდის გაჩნდა „ოქმები“ და ისიც, თუ ვინ ჩართო ისინი მიმოქცევაში. პირველად ისინი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე აჩვენა „გარდაქმნის სამუშაოთა მწარმოებელმა ალექსანდრ იაკოვლევმა, რომელიც, ზოგიერთი ცნობის თანახმად, პირდაპირ იყო დაქირავებული ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების მიერ და იყო მიხეილ გორბაჩოვის მთავარი ხელქვეითი პირი თავისი საკუთარი ქვეყნის დემონტაჟში.

1939 წლის 20 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ი.ბ. სტალინს მისი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება „ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციის, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის, სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისთვის“. მიეცათ სტალინისთვის გმირის წოდება დიპლომატიური წარმატებებისთვის იყო შეუძლებელი — თუმცა ის ამას სავსებით იმსახურებდა. შესაძლებელი გახდა ომის წარმართვა მათ წინააღმდეგ, ვინც იგი „შემოაგორა“ სსრ კავშირის საზღვრებთან.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-101

რუსეთის გამიზნული ქმედება

„შს ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრი“ საქართველოს წინააღმდეგ იქნება მიმართული

სოჭში **რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის „შს ორგანოების ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის“ ჩამოყალიბების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. დოკუმენტის ქვეშ რუსეთის შს მინისტრის მოადგილის იგორ ზუბოვისა და აფხაზეთის დე ფაქტო შს მინისტრ ასლან კობახიას ხელმოწერები ფიგურირებს. როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული, ცენტრი „რუსეთის ფედერაციისა და რესპუბლიკა აფხაზეთის მოქმედებების კოორდინაციის მიზნით იქმნება ორგანიზებული დანაშაულისა და დანაშაულის სხვა საშიში სახეობების წინააღმდეგ საბრძოლველად“. ცენტრის ზღვრული საშტატო რიცხოვნობა 20 ერთეულით განისაზღვრა. ახალი სტრუქტურის დირექტორები და მისი მოადგილეები 3-წლიანი ვადით ორივე მხარის შს სამინისტროების ერთობლივი გადაწყვეტილებით, როტაციის პრინციპით დაინიშნებიან.**

თბილისმა შეთანხმების გაფორმება წინასწარ გააპროტესტა.

„ეს თემა არახალია, იგი უკვე დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა. სამართლებრივად, ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი და არალეგიტიმური დოკუმენტი, რომელიც რუსეთის მხრიდან აფხაზეთში კონტროლის გაძლიერებას ემსახურება. ასეთია არა მხოლოდ ჩვენი, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის ცალსახა პოზიციაც და ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიმდინარე ოკუპაციის ფონზე ანექსიის პოლიტიკას გააგრძელებს, შესაბამისი რეაგირება მოჰყვება“, — განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა.

ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცენტრის ჩამოყალიბების ინიციატივას თავის დროზე თავად აფხაზებს შორისაც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.

მართლაც, საინფორმაციო-საკოორდინაციო სტრუქტურის შექმნას აფხაზური მხარე საკმაოდ დიდხანს უწევდა წინააღმდეგობას. დოკუმენტის პროექტს, რომელიც რუსეთის მიერ იყო ინიცირებული, ოკუპირებულ აფხაზეთში დიდი სიხარულით არ შეხვედრიან. ბევრი იყო მისი წინააღმდეგი დე ფაქტო ხელისუფლებაშიც.

საქმე ის არის, რომ თავდაპირველ ვარიანტში ცენტრის უფლებამოსილებები ბევრად უფრო ფართოდ იყო განსაზღვრული, რის გამოც შიშობდნენ, მის ხელმოწერას აფხაზური ძალოვანი სტრუქტურების რუსულით ჩანაცვლება არ გამოეწვია და კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარიყო აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტი.

შეთანხმების გაფორმების კატეგორიულ მოწინააღმდეგეებს შორის იყო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „თანამედროვე აფხაზეთის“ („Современная Абхазия“) თავმჯდომარე ირაკლი ტუჟბაც. განსაკუთრებულ ყურადღებას იგი აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების მიერ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დაშვების ასპექტზე ამახვილებს:

„აფხაზური მხრიდან დოკუმენტის პროექტის ხელმოწერის ინიციატორები ირწმუნებიან, რომ ცენტრი ინფორმაციის შეგროვებით დაკავდება. მაგრამ ინფორმაციის ძალოვანი სტრუქტურების, კერძოდ შსს-ს მიერ შეგროვება ითვალისწინებს ოპერატიულ დაკვირვებას, თვალთვალს, მიყურადებას...ეს ყველაფერი ინფორმაციის შეგროვებაა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცნებითაა გათვალისწინებული. ჩემთვის გაუგებარია, რატომ და რა მიზნით ვანიჭებთ უცხო ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებსა და მათი ოჯახების წევრებს დიპლომატიურ იმუნიტეტს?! ანუ, ხალხი დაკავდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობით და ამასთან, დიპლომატიური იმუნიტეტი ექნება?“.

აფხაზური მხარის წარმომადგენლები იქნებიან.

გარდა ამისა, ტუჟბას დიდი ეჭვები აქვს იმასთან დაკავშირებით, რეალურად ვისი მმართველობის ქვეშ იქნება ცენტრი:

„მე ვერ ამოვიკითხე შეთანხმებაში, მაინც ვის დაემორჩილება ახალი ცენტრი? ჩემი გაგებით, იქმნება ერთგვარი ზეეროვნული ორგანო, რომელიც არ დაემორჩილება აფხაზეთის არც პრეზიდენტს, არც პარლამენტს“.

საბოლოოდ სოხუმს „თავის დახრა“ მოუწია. დღეს დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ **„აფხაზური საზოგადოების შეშფოთება გათვალისწინებულ იქნა, თავად ცენტრი კი აუცილებელია დანაშაულთან საბრძოლველად“.**

„ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნის შესახებ შეთანხმება სრულად შეესაბამება აფხაზეთის ეროვნულ ინტერესებს. ამასთან, დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს. ყველანი ვხედავთ, როგორია აფხაზეთში ნარკოტიკების ბრუნვა. როგორც არ უნდა ვეცადოთ პრობლემის საკუთარი ძალებით გადაჭრას, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის (რუსეთის) გარეშე შედეგის მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება. დღემდე არანაირი ფორმატი ჩვენი ერთობლივი მუშაობისთვის არ არსებობდა, თუმცა მსგავსი ცენტრის შექმნის აუცილებლობა სათანადო დონეზე არ იყო გაცნობიერებული“, — განაცხადა დე ფაქტო შს მინისტრმა ასლან კობახიამ.

დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ კი პირობა დადო, რომ სტრუქტურა აფხაზეთის ტერიტორიაზე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობით არ დაკავდება, მისი საშტატო თანამშრომლების რაოდენობა 20-ით შემოფარგლება, ხოლო ხელმძღვანელი და მისი მოადგილეები მონაცვლეობით, 3-წლიანი როტაციის პრინციპით ხან — რუსული, ხან საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე უკანონო პროცესები კიდევ ერთხელ ცხადყოფს მტკიცე და კონსოლიდირებული საერთაშორისო ძალისხმევის აუცილებლობას“. საქართველოს დიპლომატიური უწყება მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, ქმედითი ზომები მიიღოს ოკუპირებული რეგიონების ანექსიის პრევენციისა და დეოკუპაციის მიზნით.

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

გარდა ამისა, სოხუმის ხელისუფლება ადგილობრივთა წინაშე თავს იმით იმართლებს, რომ ცენტრის ჩამოყალიბება 2014 წლის 24 ნოემბერს მოსკოვთან გაფორმებული „პარტნიორობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების მე-10 პუნქტით იყო გათვალისწინებული. თუმცა 2014 წლის შეთანხმებაც, რომელიც კრემლთან ასევე მოქმედმა დე ფაქტო ხელისუფლებამ გააფორმა, აფხაზეთის მოსახლეობაში ამ დრომდე ბევრ კითხვას იწვევს.

უშიშროების გადამდგარი **პოლკოვნიკი ბესიკ ალადაშვილი თვლის, რომ „ზოგადად, რუსეთი აფხაზეთს ერთიან საინსტიტუციო სივრცეში ითრევს:**

„ეს პროცესი დიდი ხანია, მიდის და ეს ხელშეკრულება მისი მხოლოდ მორიგი ეტაპია, ასე, რომ ეს მოსალოდნელიც იყო. უბრალოდ ახლა ბიუროკრატიულ პროცედურებს გადიან. **რუსეთი, რომელიც აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეფექტურ კონტროლს ახორციელებს, ცდილობს, აფხაზებს დამოუკიდებლობის შეგრძნება და ბუტაფორიული ხარისხი დაუტოვოს“.**

რაც შეეხება უშუალოდ ამ ხელშეკრულების შინაარსსა და აფხაზებისთვის მოსალოდნელ ეფექტს, მისი განმარტებით, ეს ეხება ინფორმაციის მოპოვებას, გადაცემას და ა.შ.

„ხელშეკრულებით მოცულ საკითხთა სპექტრი მრავალფეროვანია და შესაძლებელია, მთელ რიგ სხვადასხვა საკითხს შეეხოს. ეს, საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის და საქართველოს წინააღმდეგ იქნება გამოყენებული“, — განუცხადა „აქცენტს“ ალადაშვილმა.

ხელშეკრულების გაფორმებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც გამოეხმაურა. **ოფიციალური თბილისი რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმს შორის „შინაგან საქმეთა უწყებების ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის ფორმირებისა და საქმიანობის წესის თაობაზე“ ე.წ. შეთანხმების ხელმოწერას გმობს.**

„რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის რეგიონში შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნა, ხოლო ახლა საგამოძიებო და სამართალდამცავი ორგანოების შერწყმა, რომლებსაც ინტეგრაციის შესახებ 2014 წლის ე.წ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა, ოკუპირებული რეგიონის ფაქტობრივი ანექსიის პროცესის მკაფიო დასტურს წარმოადგენს. ე.წ. შეთანხმება სრულად უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის ისეთ ფუნდამენტურ ნორმებსა და პრინციპებს, როგორებიცაა სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობა. **ეს არის რუსეთის ფედერაციის გამიზნული ქმედება, რათა ხელი შეუშალოს საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობა. მსგავსი ქმედებები ხელს უწყობს რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციას, ასევე ზიანს აყენებს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებს“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, საგარეო უწყების შეფასებით, „საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე უკანონო პროცესები კიდევ ერთხელ ცხადყოფს მტკიცე და კონსოლიდირებული საერთაშორისო ძალისხმევის აუცილებლობას“. საქართველოს დიპლომატიური უწყება მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, ქმედითი ზომები მიიღოს ოკუპირებული რეგიონების ანექსიის პრევენციისა და დეოკუპაციის მიზნით.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი და გრანტი (IFAD Loan #: 2000000778; IFAD Grant 2000000248) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტის დაფინანსებაზე:

ქარელის მუნიციპალიტეტში სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის მეორე რიგის გამანაწილებლების გ-22; გ-23; გ-25; გ-27; გ-30; გ-31; გ-32; გ-33; გ-35-ისა და გ-36 და მათი სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია, კონტრაქტი №: *AMMAR/CW/2017/10.*

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. **კონტრაქტის ხანგრძლივობაა 6 თვე.**

2. კონტრაქტის მინიჭებისათვის კონკურსის მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში – **2,000,000** ლარი დღგ–ს ჩათვლით
- ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური კონტრაქტორის როლში მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის, მინიმუმ **840,000 ლარის** (დღგ–ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არა ნაკლებ 70%–ით უნდა იყოს დასრულებული).
- კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო სახსრების (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობაა – **250,000 ლარი.**

3. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2017 წლის 24 მაისიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;

ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;

გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი 4411.

4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მოერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს ***2017 წლის 26 ივნისის 12:00 საათისა,*** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

5. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაურუნდებათ გაუხსნელი.

მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის � 6, მე-3 სართული, ოთახი 309, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

მკვლელობის იარაღები - ცხვირსახოცი, ქოლგა, კალამი...

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერის კიმ ჩენ ინის უფროსი ძმის იდუმალებით მოცულმა სიკვდილმა, რომელიც მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურის საერთაშორისო აეროპორტის სათვალთვალო კამერებით დაფიქსირებული ვიდეოჩანაწერის წყალობით მთელმა მსოფლიომ იხილა, ყველას ჯაშუშური ფილმების კადრები მოგვაგონა. არადა, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი აცხადებს, მსოფლიოს სხვადასხვა საიდუმლო სამსახურის არქივებში უამრავი მსგავსი ამბავია შემონახული

კაცობრიობის ისტორიაში არაერთი პოლიტიკური მოღვაწე მკვლელთა მსხვერპლი გახდა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი 44 პრეზიდენტიდან თერთმეტზე თავდასხმები მოეწყო, მათგან ოთხი დაიღუპა. ტრაგიკული მაგალითების ზღვაა ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიაში. მაგრამ, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, უმეტეს შემთხვევაში ცალკეული თავდამსხმელები მხოლოდ საკუთარი ინიციატივით მოქმედებდნენ. სულ სხვა ელფერს კი იძენს საქმე მაშინ, როცა რომელიმე ქვეყნის მმართველის, ანდა, პირიქით, ხელისუფლების ოპოზიციონერის სიცოცხლის ხელყოფას სახელმწიფოს ძალოვანი თუ საიდუმლო უწყებები ცდილობენ.

ავგედითი ავტოკალამი

ჩრდილოეთ კორეის ლიდერის უფროსი ძმის კიმ ჩენ ნამის მკვლელობა 2017 წლის 13 თებერვალს მოხდა. ვიდეოკამერების ჩანაწერებით ირკვევა, რომ მკვლელი ორი ახალგაზრდა ქალი იყო — ერთ-ერთმა მათგანმა მსხვერპლს სახეზე ნერვულ-დამბლისდამცემი მომწამვლელი ნივთიერებით გაჟღენთილი ცხვირსახოცი ააფარა სახეზე, მეორემ კი ტანში მოწამლული ავტოკალმის წვერი ჩაასო. მამაკაცი 20 წუთში გარდაიცვალა. სხეულის გაკვეთით დადგინდა, რომ შხამი კალიუმის ციანიდზე გაცილებით ძლიერი იყო.

მკვლელობის პრეამბულა კი, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ მამის, კიმ ჩენ ირის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანას სათავეში კიმ ჩენ ნამი უნდა ჩადგომოდა, მაგრამ მშობელთან უთანხმოება მოუვიდა, რის შემდეგ მან მემკვიდრედ მისი უმცროსი ძმა დაასახელა.

ისმება კითხვა: ვის და რაში უნდა დასჭირვებოდა ღამის კლუბების მუდმივი სტუმრისა და დაულელი მექალთანის სიკვდილი? ექსპერტები და ჟურნალისტები მრავალ ვერსიას იხილავენ, მათ შორის დიქტატორი ძმის ბრძანებასაც, რომელსაც არ სურდა არასასურველი ნათესავის გაქცევა. არ გამორიცხავენ ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაწილეობასაც, რომელსაც ჩრდილოეთ კორეის ბელადის დისკრედიტირება და მკაცრი ზომების გატარების უფლების მოპოვება სურს. შესაძლოა, დამკვეთი მაფიაც იყოს — ნამი კაზინოებში დიდ ფსონებს დებდა და, გამორიცხული არ არის, რომ დიდი ვალებიც ჰქონდა წამოკიდებული. ამ მკვლელობაში არც სამხრეთ კორეის სპეცსამსახურების მონაწილეობას გამორიცხავენ...

სახეში მისხმული შხამი

1957 წელს უკრაინელი ნაციონალიზმის ლიდერის ლევ რებეტის მკვლელობა რაღაცით კიმ ჩემ ნამის ლიკვიდაციას წააგავს. მას სახეში კალიუმის ციანიდი შეასხეს — სუკ-ის ლაბორატორიებში დამზადებული ავტოკალამი სწორედ ამ შხამის შემცველი ამპულებით იყო „დატენილი“, რომლის შესუნთქვას გარდუვალი სიკვდილი მოჰყვება. ამასთან, შხამი მალევე ორთქლდება და ძალადობრივი სიკვდილის კვალიც თავისთავად იშლება. დაკვეთის შემსრულებელი სუკ-ის აგენტი ბოგდან სტაშინსკი იყო, რომელმაც თავად შხამსაწინააღმდეგო პრეპარატი მიიღო. ოპერაციამ იმდენად წარმატებულად ჩაიარა, რომ რებეტის თანამოაზრე გერმანელებმა ეჭვიც არ აიღეს და სიკვდილი უბედურ შემთხვევას მიაწერეს.

საქმის დეტალები კი სუკ-ის მიერ განსაიდუმლოებული არქივებიდან გახდა ცნობილი.

სიკვდილი ყურმილიდან

რუსეთელი ბანკირი ივან კიველიდი, რომელიც პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული, ტელეფონის ყურმილში ჩადებული შხამისგან 1995 წელს დაიღუპა. ნერვულ-დამბლისდამცემი გაზიანი ამპულა აპარატის ყურმილში... პატარა ჭანჭიკის ადგილზე ჩაამონტაჟეს. მოწამვლა იმდენად ძლიერი იყო, რომ კაცის მოსაკლავად ერთი ზარიც საკმარისი აღმოჩნდა. მასთან ერთად ასევე დაიღუპნენ ბანკირის თანშემწე ქალბატონიც და... ცხედრის გამკვეთი სასამართლო ექსპერტიც. ამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მასალები დღემდე გასაიდუმლოებულია.

მოშხამული ქოლგის ჩხვლეტა

40 წლის ბულგარელი დრამატურგი და დისიდენტი გიორგი მარკოვი ლონდონში 1969 წელს გაიქცა, აქ მან ინგლისელი ქალი შეირთო და ბიბისის რადიოსადგურში ჟურნალისტად მუშაობა დაიწყო. სამშობლოში მისი მოღვაწეობა ბულგარეთის საერთაშორისო პრესტიჟის ძირგამომთხრელ მოქმედებად შეაფასეს. ამიტომაც, სუკ-ის ხელმძღვანელობით, ბულგარეთის სპეცსამსახურებმა დისიდენტ მარკოვის თავიდან მოშორების ოპერაცია შეიმუშავეს.

1978 წლის სექტემბრის საღამოს, მარკოვი ბიბისის ოფისიდან გამოვიდა. პიკის საათი იყო და თავის მანქანამდე მისასვლელად ჟურნალისტს ხალხმრავალ ბრბოში გავლა მოუხდა, რა დროსაც მოულოდნელად ვიღაც მამაკაცის ქოლგის წვერი მოხვდა, რომელმაც ცუდი ინგლისურით ბოდიშის სიტყვები უთხრა, ტაქსში ჩაჯდა და წავიდა. ცოტა ხანში მარკოვმა თავი შეუძლოდ იგრძნო, თუმცა სახლამდე მაინც მიაღწია, მაგრამ მეორე დღეს მისი მდგომარეობა დამძიმდა და „სასწრაფოთი“ საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმებმა დიაგნოზის დასმა ვერ შეძლეს, მარკოვი კი გაიძახდა, ყველაფერი ქოლგით ჩხვლეტის შედეგი იყოო. მისი გარდაცვალების შემდეგ ექიმებმა პოლიცია გამოიძახეს. ფეხის დაზიანებული ქსოვილის შესწავლით, სკოტლან-იარდის ლაბორატორიაში დაადგინეს, რომ ჟურნალისტის სიკვდილი ძლიერ მომწამვლელი ნივთიერების შესხურების შედეგია.

სიკვდილი კანფეტების ყუთიდან

უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის (უნო) შემქმნელი ევგენი კონოვალეცი... ტკბილეულისადმი თავის სიყვარულს ემსხვერპლა. პირველი მსოფლიო ომის დროს, ავსტრო-უნგრეთის ჯარის ოფიცერი კონოვალეცი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა, ტყვედ ჩავარდა.

1917 წელს იგი უკრაინაში დაბრუნდა, სადაც უკრაინელ ნაციონალისტთა დაჯგუფებებს ჩაუდგა სათავეში და ძარცვებსა და ებრაელთა დარბევებს მიჰყო ხელი. ბანდის განადგურების შემდეგ იგი, ორი ჩემოდანი ნაძარცვი ძვირფასეულობით, გერმანიაში გაიქცა, სადაც ჰიტლერი გაიცნო და მისი ხელშეწყობით უნო შექმნა. 1928 წელს გერმანიაში ამ ორგანიზაციის რამდენიმე სკოლა გაიხსნა, სადაც გერმანელი ოფიცრები ბოევიკებს დივერსიებსა და ტერორისტული აქტების მოწყობის ხერხებს ასწავლიდნენ. შემდეგ ამ სკოლების კურსდამთავრებულებმა ვარშავაში პოლონელი მინისტრი პერაცკი, ლვოვში კი საბჭოთა დიპლომატი მაილოვი მოკლეს.

1938 წელს კონოვალეცის ლიკვიდაცია საბჭოთა მზვერავ პავლე სუდოპლატოვს დაავალეს. ასაფეთქებელი მოწყობილობა მისი საყვარელი უკრაინული შოკოლადის კანფეტების კოლოფში დაამონტაჟეს. კონოვალეცს შეხვედრა სუდოპლატოვმა როტერდამის ერთ-ერთ რესტორან ში დაუნიშნა, სადაც კანფეტების კოლოფი მაგიდაზე წინ დაუდო, შემდეგ მეორე შეხვედრა დაუნიშნა, სასწრაფო საქმე მოიმიზეზა და იქაურობას გაეცალა. ნაღმი 20 წუთში ამოქმედდა...

პოლონიუმი... საუზმედ

სუკ-ისა და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის (უფს) ვიცე-პოლკოვნიკი ალექსანდრე ლიტვინენკო სამი კვირის განმავლობაში კვდებოდა. იგი რადიაქტიური პოლონიუმით იყო მოწამლული, რომელიც 2006 წელს, ლონდონში, ჩაიში ჩაუყარეს. ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა მკვლელობაში უფს-ი დაადანაშაულეს, თუმცა ბრალდების მტკიცებულებანი, ისევე, როგორც სხეულის გაკვეთის მონაცემები, წარმოდგენილი არ ყოფილა.

1998 წელს ლიტვინენკოს დამუშავება საკუთარი უშიშროების სამსახურმა დაიწყო. უფს-დან გადადგომის შემდეგ, რის მიზეზი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და მთვრალი დებოშები იყო, იგი ბორის ბერეზოვსკის უშიშროების სამსახურის უფროსად მუშაობდა. 2000 წელს იგი დიდ ბრიტანეთში გაიქცა და იქაურ დაზვერვასთან თანამშრომლობდა.

რუსეთის სპეცსამსახურების განცხადებით, ალექსანდრე ლიტვინენკო... დასავლეთის სპეცსამსახურების მიერაა მოკლული, რომლებსაც სურთ ყველაფრის უფსისთვის გადაბრალება, რომელმაც თითქოსდა მასზე შური იძია. მათი მტკიცებით კი ლიტვინენკოს რუსეთის დაზვერვისთვის მეტი ზიანის მიყენება აღარ შეეძლო, ამიტომაც, „მის თავიდან მოსაშორებლად დროისა და ფულის ხარჯვა აღარ ღირდა“. ლიტვინენკო საშიშროებას მხოლოდ ბრიტანეთის მი-5 ან მი-6 (ანუ დაზვერვისა და კონტრდაზვერვის) სამსახურებისთვის წარმოადგენდა. მის გარდაცვალებას მკვლელობების მთელი ჯაჭვი მოჰყვა: ყველანი, ვინც სიმართლის დადგენას ცდილობდნენ, იხოცებოდნენ. შარშან, წლის მიწურულს კი გაჟონა ინფორმაციამ, რომ 2016 წლის მაისში რადიაციის სფეროში ექსპერტი მეტიუ ფანჩერი თავის სახლში გარდაცვლილი ნახეს — ეს ის სპეციალისტი იყო, რომელმაც ლიტვინენკოს ორგანიზმში პოლონიუმის კვალს მიაგნო

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

დავით დევნოზაშვილი პატიმრობაში რჩება

ფოტოგრაფების საქმეში ბრალდებული კონტრდაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით დევნოზაშვილი პატიმრობაში რჩება. სხდომაზე დაცვის მხარე მის გირაოთი გათავისუფლებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

ბრალდებულს პროკურატურა უფლებამოსილების გადამეტებას ედავება. დევნოზაშვილთან ერთად ბრალი წარდგენილი აქვს ალექსანდრე მუხაძესაც, იგი წითელი ცირკულარით იძებნება.

დააკავეს ყალბი ფულის გამსაღებლები

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად წარსულში ნასამართლევი ორი პირი: 1965 წელს დაბადებული გ. კ. და 1977 წელს დაბადებული ვ.ა., წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ყალბი ვალუტის შეძენა-შენახვა-გასაღების და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა, წინასწარი შეთანხმებით, გასაღების მიზნით შეიძინეს ყალბი 500-ევროიანი კუპიურა, რომელიც მიმდინარე წლის 8 მაისს თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, ერთ-ერთ სავალუტო ჯიხურში გაასაღეს. აღნიშნული ქმედებით, ჯიხურის მოლარე-ოპერატორმა 1305 ლარის ოდენობის ქონებრივი ზიანი მიიღო.

სამართალდამცველებმა ვ.ა.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას მაკაროვის კონსტრუქციის არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 4 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ასევე ამოღებულია ბრალდებულების მიერ გასაღებული ყალბი კუპიურა.

კლინიკა „ლანცეტის“ ერთ-ერთი მფლობელი დააკავეს

სამართალდამცველებმა კლინიკა „ლანცეტის“ ერთ-ერთი მფლობელი ფარმან ჯეირან ლი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას „საზოგადოებრივი“ ავრცელებს. დაკავებულს ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაული, რაც თაღლითობას გულისხმობს.

კერძოდ, საქმეში დაზარალებულად ორი ოჯახია ცნობილი, რომელთა ახლობლები კლინიკა „ლანცეტში“ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალნენ.

კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ კლინიკაში არალიცენზირებული ოპერაციები ტარდებოდა, რის შემდეგაც „ლანცეტს“ ლიცენზია შეუჩერდა.

ფარმან ჯეირან ლის ბრალს ოფიციალურად დღეს წარუდგენენ. აღკვეთის ღონისძიებაზე კი სასამართლო ხვალ იმსჯელებს.

დაკავებული პოლიციის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფება.

◎ წინ, საქართველო!

უხვი ნადავლით - მინსკიდან

ბელარუსის დედაქალაქში გამართულ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატში საქართველოს 14 წარმომადგენელი (9 ვაჟი და 5 ქალი) მონაწილეობდა, რომლებმაც ცხრა მედალი მოინაგრეს. ნინო ოძელაშვილმა 52 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა. მინსკის ხალიჩაზე მან ყველა მეტოქეს სძლია – ფინალში რუსი ირინა ალექსეევა დაამარცხა. საქართველოს დელეგაციას მეორე ოქროს მედალი ლევან ნახუცრიშვილმა (74 კგ) მოუტანა – გადამწყვეტ პაექრობაში ქართველმა ფალავანმა ბულგარეთის ნაკრების წევრ აშოტ მარტიროსიანს აჯობა და ევროპის ჩემპიონი გახდა. ჩვენი გუნდის ყველაზე ტიტულოვანი წევრი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ვახტანგ ჩიდრაშვილი (57 კგ) ამჯერად ვერცხლის მედალს დასჯერდა - ფინალი რუს ვლადიმირ გლადკიხთან წააგო. რუს სამბისტთან - მიხაილ პოლიანსკოვთან დათმო ბოლო შეხვედრა პაატა ღვინიაშვილმაც (90 კგ) და ისიც მეორე ადგილზე გავიდა. ქალთა ნაკრების მძიმეწონოსანმა ელენე ქებაძემ ფინალში იჭიდავა, მაგრამ უკრაინელ ანასტასია საპსაისთან ვერაფერს გახდა და მეორე ადგილი დაიკავა. ლევან ბერბერაშვილს (52 კგ), ზვიად ოდოშაშვილს (62 კგ), ნიკო კუციასა (82 კგ) და ბექა ბერძენიშვილს (+100 კგ) ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

თამაზ პატარიძე

◎ ძიუდო

მედლებიც, სარეიტინგო ქულებიც

ორი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი – ასეთი შედეგით დაასრულეს საქართველოს ძიუდოისტებმა ასპარეზობა ეკატერინბურგის გრან სლემზე. მეორე ადგილებზე გავიდნენ ამირან პაპინაშვილი (60 კგ) და ლევან მატიაშვილი (+100 კგ), ხოლო ზებედა რეხვიაშვილი (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანი (100 კგ) მესამე ადგილებს დაყაბულდნენ. ვერცხლის პრიზიორებმა პირად რეიტინგს 700-700, ბრინჯაოს მედალოსნებმა კი 500-500 სარეიტინგო ქულა შეჰმატეს.

ევროპის 2013 წლის ჩემპიონმა პაპინაშვილმა ეკატერინბურგის ტატამზე ოთხი შეხვედრა გამართა. ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა ჩვენებურმა ჯერ ყაზახ ასხატ ტელმანოვს ორი ვაზარით მოუგო, მერე მის გზას გაუყენა ფრანგი სედრიკ რევოლი, ნახევარფინალში ახალგაზრდებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ესპანელ ჩემპიონს (2014) – ფრანსისკო გარიგოსს 25 წამში აჯობა, გადამწყვეტი პაექრობა კი იაპონიის მოქმედ ჩემპიონთან -– 21 წლის რიუკიუ ნაკაიამასთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მატიაშვილი პაექრობაში მეორე წრიდან ჩაება და ზედიზედ სამი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან – ავსტრიელი შტეფან ჰეიგი, ბრაზილიელი რაფაელ სილვა, ბელარუსი ვლადისლავ ციარპიცკი და ფინალში ბრაზილიელ დავიდ მოურას დაუპირისპირდა. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, მაგრამ დამატებითში ქართველი ფალავანი გააფრთხილეს და პირველი ადგილი ოკეანისგაღმელს ხვდა.

რეხვიაშვილმა სტარტზე რუს სტანისლავ სემენოვს ვაზარით აჯობა. შემდეგ იგივე ბედი ეწია უზბეკ სუნატულა აზიმოვს. მეოთხედფინალში ქართველი ძიუდოისტი უნგრელ ატილა უნგვარისთან ოქროს დროში ვაზარით დამარცხდა, დამამშვიდებელში კი ჯერ ბრაზილიელ ვიქტორ პენალბერს მოუგო, მერე – ჰოლანდიელ ფრანკ დე ვიტს და მესამე ადგილზე გავიდა.

სამი წრე განვლო ლიპარტელიანმა: უზბეკი ერკინ დონიოროვი, ალჟირელი ლიე ბუიაკუბი და ბრაზილიელი ლუჩიანო კორეა ვადამდე დაამარცხა, თავად კი ნახევარფინალში რუსეთელ ნიაზ ილიასოვთან წააგო. რეპეშაჟის ფინალში ქართველმა ფალავანმა ფრანგ ალექსანდრ იდირს ოქროს დროში მოპოვებული შიდოთი აჯობა. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ვაჟთა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 30 ქვეყნის ნაკრებს შორის მე-5 ადგილი დაიკავა.

ლაშა დიდია

◎ ტაბლო

კალათბურთი

ჩაბუკონა ევროლიგა. ფინალი. „პარიზი“ (საფრანგეთი) – „მეგა ბიმაქსი“ (სერბეთი) 65:58. დამარცხებულთა 17 წლის 211-სანტიმეტრიანმა ქართველმა ცენტრმა გოგა ბითაძემ პარტნიორებს 17 ქულა, 20 მოხსნა (მათ შორის 10 მეტოქის ფარზე), 3 პასი და 5 დაფარება შეაწია. მან ასევე შთამბეჭდავად ითამაშა ჯგუფურ რაუნდში მადრიდის „რეალთან“, კაუნასის „ჟალგირისთან“ და, განსაკუთრებით, მასპინძელ – სტამბოლის „ფენერბახჩესთან“ – 77:74 (21 ქულა, 5 მოხსნა, 4 დაფარება და 2 პასი), თანაც 4-დან 3 სამქულიანი(!) ჩააგდო.

მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვუნდერკინდ გოგა ბითაძის სახით საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დიდებული ცვლა ეზრდება.

* * *

ვაჟთა ევროლიგა. ფინალი. სტამბოლის „ფენერბახჩე“ – პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ 80:64. ეს თურქული კლუბის პირველი ევროპული ტრიუმფია, მისი ლეგენდარული თავკაცი ჟელკო ობრადოვიჩი კი უკვე მერვედ(!) ავიდა ოლიმპზე.

მატჩი III ადგილისთვის. ცსკა (მოსკოვი) – „რეალი“ (მადრიდი) 94:70.

* * *

ეროვნული ასოციაცია (ნბა). აღმოსავლეთ კონფერენცია. ფინალი. „კლივლენდი“ – „ბოსტონი“ 108:111 (სერიის ანგარიში 2:1). მას შემდეგ, რაც წინა შეხვედრაში ბოსტონელთა ლიდერმა აიზია თომასმა მძიმე ტრავმა მიიღო, მასაჩუსეტსელთა შანსები ყველამ გამოიტირა, მაგრამ ოჰაიოში სასწაული მოხდა – გადამწყვეტი ბურთი ბრედლიმ ძირითადი დროის უკანასკნელ წამზე ჩააგდო.

აღსანიშნავია, რომ ლებრონ ჯეიმსმა და კომპანიამ აქამდე გამართული პლეიოფის ათივე მატჩი მოიგეს.

ჩოგბურთი

ლიონის ტურნირი. გრუნტი. პირველი წრე. ნიკოლოზ ბასილაშვილი (საქართველო) – ბორნა ჩორიჩი (ხორვატეთი) 6:4, 5:7, 6:4.

რომის მასტერზი. გრუნტი. ვაჟები. ფინალი. ალექსანდერ ზვერევი (გერმანია) – ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 6:4, 6:3.

ქალები. ფინალი. ელინა სვიტოლინა (უკრაინა) – სიმონა ჰალეპი (რუმინეთი) 4:6, 7:5, 6:1.

ფეხბურთი

საქართველოს XXIX ჩემპიონატი. ეროვნული ლიგის XIII ტური. „დინამო“ – „სამტრედია“ 3:2, „ტორპედო“ – „ლოკომოტივი“ 2:0.

ლიდერთა ჯგუფი. „დინამო“ – 31, „ტორპედო“ – 25, „სამტრედია“ – 23 ქულა.

* * *

როგორც მოგეხსენებათ, 3 ივნისს უელსის დედაქალაქ კარდიფის „მილენიუმის“ სტადიონი ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრას უმასპინძლებს, რომლის მონაწილენიც, ბედის ირონიით, ერთ დღეს, თანაც ორივენი – 33-ედ(!) გახდნენ ლა ლიგისა და „სერია-ა“-ს ჩემპიონები.

ესპანეთი. „მალაგა“ – „რეალი“ 0:2.

იტალია. „იუვენტუსი“ – „კროტონე“ 3:0.

ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. შვედეთი – კანადა 2:1 (ბულიტებით, ძირითადი დრო 1:1).

მატჩი III ადგილისთვის. რუსეთი – ფინეთი 5:3.

გიორგი ზოთაძე

◎ ასეც ხდება

ჟანგი ოლიმპიურ მედალზე

2016 წლის ოლიმპიური თამაშების ასზე მეტმა პრიზიორმა რიოში მოპოვებული მედალი დაუბრუნა საორგანიზაციო კომიტეტს იმის გამო, რომ ამ მედლებს ჟანგი მოეკიდა და შავი ლაქები გაუჩნდა.

„ძირითადი პრობლემა ის არის, რომ მედლებს ცივ ადგილას ინახავდნენ, რამაც დააზიანა ლითონის ლაქის საფარი და სწორედ ამ ადგილებში გაჩნდა ჟანგი. ათიდან რვა შემთხვევაში სწორედ ეს გახდა პრობლემის მიზეზი,“ – განაცხადა რიო-2016-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა მარიო ანდრადამ.

აღმოჩენილ დეფექტებს ბრაზილიის მონეტების სახლი აღმოფხვრის და ამის შემდეგ მედლებს, რომელთა უმრავლესობა ბრინჯაოსია, მფლობელებს დაუბრუნებს.

შარშანდელი ოლიმპიური თამაშებისთვის სულ სამი სინჯის 2488 მედალი დამზადდა და ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების შემცველობაში 30 პროცენტი გადამუშავებული ლითონია.

რიოს ქართველ ოლიმპიურ პრიზიორებს მედლებთან დაკავშირებით სეოკ-ისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხელბურთი

„იმედიანი“ ჩემპიონი

დამთავრდა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობდა. ფინალური ოთხეული სამწრიანმა რეგულარულმა პირველობამ გამოავლინა. 42 შესაძლებლობიდან 35-35 ქულით პირველი-მეორე ადგილები ბათუმის „შავი ზღვის ბიჭებმა“ და „ქუთაისმა“ გაინაწილეს. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით გათამაშების ცხრილის სათავეში ზღვისპირელები მოექცნენ. 33 ქულით მესამე იყო სტუ – „ქარიშხალა“, ხოლო 23 ქულით მეოთხე ადგილი თელავის „იმედს“ ხვდა. მართალია, თბილისის „პეგასმაც“ ამდენივე ქულა მოაგროვა, მაგრამ თელაველებმა მეტოქეს პირად შეხვედრებში უკეთესი ბალანსით გაუსწრეს. ფინალში ისინი „ბათუმს“ დაუპირისპირდნენ. უპირობო ფავორიტი იყო ქვეყნის 2016 წლის ჩემპიონი „შავი ზღვის ბიჭები“. მით უმეტეს, რომ ზღვისპირელებმა „იმედს“ რეგულარულის სამივე მატჩი მოუგეს, მაგრამ ამჯერად თელაველებმა შეძლეს რევანშის აღება (23:21) და ფინალში გავიდნენ. მეორე ნახევარფინალურ პაექრობაში ქვეყნის 22-გზის ჩემპიონმა სტუ – „ქარიშხალამ“ „ქუთაისს“ აჯობა, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი სეზონის განმავლობაში მეწინავეობდა. სტუდენტებმა 38:34 გაიმარჯვეს.

თელავის „იმედმა“ (ცინცაძე, ხარაიშვილი, მიქავა, აბჟანდაძე, გიორგაძე, ბაინაზიშვილი, ყორიაული, ვალიევი, გ. იობაშვილი, ცისკარიშვილი, აბაშიძე, ბაჯალაძე, დოლმაზაშვილი, ზ. იობაშვილი, ლორია, მაისაშვილი, ცხვარაშვილი, ნარსია, კორსანტია, გოგუა, ერისთავი, გოდელაშვილი, მწვრთნელები – მეტრეველი, სამადაშვილი, შარანგია), რომელიც უმთავრესად ახალგაზრდა ხელბურთელებითაა დაკომპლექტებული, სტუ – „ქარიშხალას“ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალი გზა გადაუკეტა: მართალია, გადამწყვეტი ორთაბრძოლის დასაწყისში „ქარიშხალა“ 6:2 დაწინაურდა და ტაიმიც ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოიგეს – 15:12, მაგრამ შესვენების შემდეგ თელაველებმა მატჩში გარდატეხა შეიტანეს, 25:23 სძლიეს მეტოქეს და ჩემპიონობაც მოიპოვეს. ვერცხლის მედლები სტუ – „ქარიშხალას“ ერგო, მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი „შავი ზღვის ბიჭებმა“ „ქუთაისს“ აჯობა – 40:31.

საბოლოო შედეგები

1. თელავის „იმედი“ (რეგულარულში 21 მატჩიდან 23 ქულა, ბურთები – 627:582), 2. სტუ – „ქარიშხალა“ (33 ქ. 743:597), 3. ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“ (35 ქ. 786:612), 4. ქუთაისი (35 ქ. 785:678), 5. „პეგასი“ – 23ქ. (762:718), 6. „გორი“ – 9ქ. (747:836), 7. „სამტრედია“ – 8ქ. (695:795), 8. „წყალტუბო“ – 2ქ. (613:940).

ლექსო ცინცაძე

◎ საზოგადოება

ახალგაზრდობა - სუნთქვა ხვალისა...

გერმანიის უდიდესმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ფრიდრიხ ებერტის ფონდმა“ საქართველოს ახალგაზრდა თაობის პრიორიტეტების დასადგენად გამოკვლევა ჩაატარა.

„გარდამავალი ასაკის თაობა“ – ასე ეწოდება გამოკვლევას, რომლის მიზანი ქვეყნის ახალგაზრდობის მისწრაფებათა შესწავლა იყო. ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული გამოკვლევის პროცესში, რომელმაც შარშან მაის-ივლისის პერიოდი მოიცვა, 14-19 წლის ახალგაზრდები გამოიკითხნენ...

მიღებული შედეგებით ირკვევა, რომ ქართველი ახალგაზრდების 85 პროცენტს მარიხუანა, რომლის ლეგალიზებაზე ამჟამად ამდენს ლაპარაკობენ, არასდროს გაუსინჯავს, სიგარეტს კი გამოკითხულთა 32 პროცენტი ეწევა. სხვა სურათია ალკოჰოლიან სასმელებთან მიმართებაში, რომლებსაც რესპონდენტთა 70 პროცენტი ხშირ-ხშირად მიირთმევს.

ფონდის გამოკვლევით დადგინდა, რომ ახალგაზრდების 19 პროცენტი სრულ განაკვეთზე მუშაობს, 7 პროცენტი კი – ნახევარ განაკვეთზე. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულთა 71 პროცენტი იმედიანად უცქერის მომავალ შრომით მოწყობას და დარწმუნებულია, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ სამუშაოს შოვნას უპრობლემოდ შეძლებს.

ბუნებრივია, რომ „ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ადგილობრივი თავისებურებებიც ნათლად წარმოჩნდა. კერძოდ კი, გამოკითხულთა 70 პროცენტმა უპასუხა, რომ მშობლებთან ერთად ცხოვრობს, მათგან უმეტესი ნაწილი (62 პროცენტი) ფინანსურ დახმარებას იღებს. თითქმის ნახევარი – 48 პროცენტი – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მშობლებთან ერთად იღებს, ამასთან, თითქმის ყოველი მეორე (კერძოდ, 44 პროცენტი) აცხადებს, რომ საკუთარ გადაწყვეტილებას სრულიად დამოუკიდებლად იღებს.

გამოკითხულთა 69 პროცენტი დაუოჯახებელია, თუმცა კი მათი აბსოლუტური უმრავლესობა (90 პროცენტი) შეუღლებას აპირებს. რესპონდენტთა ერთ მესამედს მიაჩნია, რომ 25 წელი ქალისთვისაც და მამაკაცისთვისაც ოჯახის შესაქმნელად იდეალური ასაკია, ამასთან, უმრავლესობა თვლის, რომ ოჯახის შექმნის ყველაზე მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი ფაქტორია მეუღლის ხასიათი (ამას აცხადებს გამოკითხულთა 64 პროცენტი) და საერთო ინტერესები (56 პროცენტი).

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ახალგაზრდების 74 პროცენტს შვილი არ ჰყავს, მათი დიდი ნაწილი ორი-სამი შვილის ყოლას აპირებს (შესაბამისად, 41 და 34 პროცენტი), თუმცა ისიცაა, რომ ყოველი მეათის აზრით, ოჯახში ოთხი შვილი მაინც უნდა იყოს.

აქტიურია ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიცია: 75 პროცენტი მხარს უჭერს ევროკავშირში საქართველოს შესვლას, 68 პროცენტი კი ქვეყნის ნატოში გაწევრების მომხრეა. 81 პროცენტი ნდობას უცხადებს ეკლესიასა და რელიგიურ ინსტიტუტებს, რომელთა შემდეგ მოდის ჯარი (76 პროცენტი) და პოლიცია (62 პროცენტი).

მთლიანად გამოკითხვაში ჩატარდა 120 პირადი ინტერვიუ და 24 დისკუსია ფოკუს-ჯგუფებში.

ნინო ალექსანდრია

ცვალებადი ამინდი რამდენიმე დღეს გასტანს

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 22 მაისის საღამოდან 25 მაისამდე საქართველოში კვლავ მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა და ელჭექი, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ზოგან შესაძლებელია სეტყვა.

ძლიერი წვიმების გამო, საქართველოს დიდ და საშუალო მდინარეებზე შესაძლებელია წყლის დონის მატება. ჰაერის ტემპერატურა +18, +23 გრადუსი იქნება. 25 მაისს შედარებით გამოიდარებს და 26 მაისს უნალექო ამინდია მოსალოდნელი, ჰაერის ტემპერატურა +24, +29 გრადუსამდე მოიმატებს. 27 მაისს დღის მეორე ნახევრიდან და 28 მაისს ისევ წვიმიანი ამინდია მოსალოდნელი.

იაპონიაში მზის დარტყმა 50-მდე ადამიანმა მიიღო

ისიკავას პრეფექტურაში სასკოლო სპორტულ ღონისძიებაზე ათობით ადამიანმა მზის დარტყმა მიიღო. საავადმყოფოში მზის დარტყმის დიაგნოზით 50-მდე პაციენტი მიიყვანეს. მათგან 20 მოსწავლეა. ისიკავასა და კანტოს პრეფექტურებში ჰაერის ტემპერატურა 35 გრადუსამდე მერყეობს.

თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №412

16 მაისი, 2017 წ. ქ. თელავი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვადაგაგრძელებული საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 02 მაისის №385 ბრძანება (თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კოდი №53.08.42.270,3543 კვ.მ., საწყისი ფასი 1400 ლარი „ბე“ 420 ლარი, ბიჯი 70 ლარი, მონაწილის ბილეთის ფასი 30 ლარი).

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებელი
ალექსანდრე შათირიშვილი

სანთელი

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის ყოფილი თანამშრომელი, სალიტერატურო კონტროლის რედაქციის გამგე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ციალა ცერცვაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ყაზახეთში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს

ყაზახეთში საქართველოს მოქალაქე, 25 წლის არჩილ დავითაძე გარდაცვლილი იპოვეს. ფაქტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ადასტურებენ. დავითაძე ასტანაში 18 მაისს დაიკარგა. გარდაცვალების მიზეზი ამ დროისათვის უცნობია. ცნობილია, რომ არჩილ დავითაძე ყაზახეთის მოქალაქეზე იყო დაქორწინებული და ქვეყანაში ცხოვრების უფლებით სარგებლობდა.

GEO-HOLDING
ფინანსური კომპანია

პირველად საქართველოში!
შეზღუდული შემოთავაზება!

ჩვენ დავფარავთ თქვენს სესხს საქართველოს ნებისმიერ ბანკში!

სესხის თანხის 25-40 პროცენტი ერთჯერადი გადახდა და თქვენ სამუდამოდ დაივიწყებთ სესხის შესახებ!

წინასწარი დაფარვა!

უკეთესობისკენ ცვლილებები დაიწყება ჩვენთან ვიზიტის შემდეგ!

მის: გლდანი, ვეკუას ქუჩა №12, ახმეტელის თეატრის მიმდებარედ.

ტელ +995 557 575 323
+995 557 575 811
ელ. ფოსტა: kredit-georgia.com

განცხადება

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად ახალი არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ

1. გამოცხადდეს ახალი არჩევნები და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 22 მაისს.

4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 26 ივნისს და გაგრძელდეს 2017 წლის 7 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე 10.00 საათიდან 18.00 საათამდე (გარდა შაბათ-კვირისა), მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №61, მესამე სართული, ოთახი № 302.

5. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აკადემიური საბჭოს მიერ დანიშნულ დღეებში, კანდიდატები აკადემიურ საბჭოს წარუდგენენ თავიანთ სამოქმედო გეგმას. აკადემიური საბჭო ეცნობა თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

6. რექტორის ახალი არჩევნები დაინიშნოს 2017 წლის 21 ივლისს.

7. ახალი არჩევნების შედეგები ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამისი დადგენილების გამოქვეყნებისთანავე.

8. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

გ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე;

ზ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

თ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

◎ უკვდავება

გული გამითბა



ჭეშმარიტად გული გამითბა, ქართველი ხალხის სათაყვანო მსახიობის გივი ბერიკაშვილის მშვენიერი ბიუსტი რომ ვნახე თბილისში დადგმული. სიხარულს მიძლიერებდა ისიც, რომ ქანდაკება შესრულებული იყო ჩინებული ქართველი მოქანდაკის, აკადემიაში ჩემი უსაყვარლესი პროფესორის, აწ განსვენებულ თეიმო ჟყონიას მიერ.

ბოლო პერიოდში თბილისში დადგმული ე. წ. ბიუსტების შემდეგ ამ ქანდაკების ხილვა ნამდვილად სულის მოთქმაა.

მერაბ მეტრეველი.

დაიწყო ილია ჭავჭავაძის მუზეუმის რეაბილიტაცია

თბილისის მერიამ და თბილისის განვითარების ფონდმა ილია ჭავჭავაძის მუზეუმის რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოები პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში მუზეუმების განვითარების პროგრამით ხორციელდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და თბილისის განვითარების ფონდის დირექტორმა გიორგი ბაიდარაშვილმა დაათვალიერეს.

მუზეუმს სრული რეაბილიტაცია უტარდება. დაგეგმილია, როგორც შენობის რესტავრაციარეკონსტრუქცია, ასევე შიდა ეზოსა და ინტერიერის აღდგენა და კეთილმოწყობა. მუზეუმის ტერიტორიაზე მთლიანად შეიცვლება და მოწესრიგდება შიდა საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელები.

„ეს არის ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, როცა საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ კულტურული მემკვიდრეობის წესების დაცვით აღდგება ილიას მუზეუმი, ჩვენი ქალაქისა და ქვეყნისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი. ეს იყო ღირსების საკითხი, ეს იყო მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც დავიწყეთ, რათა ამ ადგილს დაუბრუნდეს თავისი ისტორიული მნიშვნელობა. გაკეთდება არა მხოლოდ შენობის კონსტრუქციული გამაგრება და მოწესრიგდება გარე ნაწილი, არამედ ჩვენ უზრუნველვყოფთ მისი შიდა ნაწილის ავთენტურ აღდგენას და ეს ადგილი გახდება ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ჯავახიშვილის №7-ში მდებარე ისტორიული მნიშვნელობის შენობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მუშაობის წესების დაცვით აღდგება.

გამოჩენილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი ჯავახიშვილის №7-ში 1987 წელს გაიხსნა, ილიას დაბადებიდან 150-ე წლისთავთან დაკავშირებით. თავის დროზე კი სახლი ილია ჭავჭავაძის დას ეკუთვნოდა და მისი მეუღლის, გენერალ ალექსანდრე საგინაშვილის მიერ 1880-იან წლებში აშენდა.

ილია ჭავჭავაძე ამ სახლში 1889-1901 წლებში ცხოვრობდა. აქვე ფუნქციონირებდა ილიას მიერ დაარსებული გაზეთ „ივერიის“ რედაქცია და სტამბა.

მუზეუმის რეაბილიტაცია 2018 წელს დასრულდება.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ბაღის ფრინველთა საათი

ბიომრავალფეროვნების დღესთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით თბილისის ბოტანიკურ ბაღში „ბაღის ფრინველთა საათი“ გაიმართა, რომელშიც სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

თბილისის ბოტანიკურ ბაღში მოსწავლეები ბაღის ფრინველებს დააკვირდნენ და მათთვის ნაცნობი ფრინველები სპეციალურ ბროშურებში აღრიცხეს. აქციას ქვეყნის მასშტაბით 500-მდე მოსწავლე შეუერთდა.

ღონისძიება მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ბიომრავალფეროვნების ღირებულების, სასიცოცხლო გარემოსათვის მისი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მეცნიერული მიდგომის ჩამოყალიბებას, ცოდნის გაღრმავებას გარემოსდაცვით სფეროში.

ღონისძიება გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ორგანიზაცია „საბუკოს“ ორგანიზებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით გაიმართა.

„ქარვისფერი ღვინო“ სპეციალურ ჩამონათვალში

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OIV) დაჩქარებული წესით განსახილველად მიიღო ქართული მხარის წინადადება, რომ ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინო, ანუ ჭაჭაზე დადულებული ღვინო სახელწოდებით „ქარვისფერი ღვინო“, OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში შევიდეს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი სამანიშვილის განცხადებით, ქართული მხარის ამ მიმართვას OIV-ის მხრიდან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.

„ეს სიახლე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქართული ტრადიციული ღვინოების პოპულარიზაციისა და ცნობადობის ასამაღლებლად მთელს მსოფლიოში“ — აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

მისი თქმით, ამჟამად OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში არის სულ 7 ღვინო — შუშხუნა, ცქრიალა, შემაგრებული, ლიქიორული, ბუნებრივად ტკბილი ღვინოები, „აისვაინი“ და აპკის ქვეშ დავარგებული (ხერესის ტიპი).

შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ, ქართული „ქარვისფერი ღვინო“ OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში მერვე იქნება.

ინდოელმა ალპინისტმა რეკორდი დაამყარა

37 წლის ინდოელმა ანშუ ჯამსენპამ ახალი რეკორდი დაამყარა. 4-დღიანი ინტერვალით მან ევერესტზე ასვლა ორჯერ შეძლო. 2011 წელს მას მწვერვალზე ზედიზედ ორჯერ ასასვლელად 10 დღე დასჭირდა.

ნაომი კემპბელი ქველმოქმედებაში ჩაერთო

ნაომი კემპბელი პოდიუმზე დაბრუნდა. ორგანიზაცია „მოდა დახმარებისთვის“ კემპბელმა 12 წლის წინ ჩამოაყალიბა, მაგრამ კანში საქველმოქმედო აქცია მეორედ ჩაატარა. აქციის მიზანი ბავშვების დახმარებაა. ცნობილმა მანეკენმა ღონისძიებაზე მეგობრებიც მოიწვია. პიდიუმზე ანტონიო ბანდერასი, ჰაიდი კლუმი და ანა კლივლენდიც ავიდნენ.

11 800 დოლარი ყვავილის მოწყვეტისთვის

42 ათასი ლირა ყვავილის მოწყვეტისთვის — უფრო კონკრეტულად კი 42 ათას 479 ლირიანი ჯარიმაა თურქეთში უიშვიათესი ფერის მანისას (Manisa Lalesi) მოწყვეტისთვის ან დაზიანებისთვის.

ეს მცენარე თურქეთში, ქალაქ მანისაში მხოლოდ 9 ადგილზე ყვავის და ქალაქს სწორედ ამ მცენარეების სანახავად ბევრი აკითხავს.

თუმცა ის ვინც მანისას მოწყვეტს ან რაიმე სახის ზიანს მიაყენებს, მას ჯარიმის სახით 42 ათას 479 ლირის (11 800 დოლარის) გადახდა მოუწევს. სწორედ ასეთი დიდი ჯარიმის გამო ტურისტს მცენარესთან მიახლოებაც კი ეშინია და შორიდან ტკბება მისი სილამაზით.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4104; ევრო - 2.6895;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1326;
100 რუბლი - 4.2182; თურქული ლირა - 0.6698;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4242;
1000 სომხური დრამი - 4.9917.

ამინდი 23 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+20
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+20
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge